619
1968




# დროშა

№ 7 ივლისი 1968

# „ხეობა კაზრეთისა"

ეროვნული ბიბლიოთეკა



კაზრეთის № 25 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა ერთი ჯგუფი

ფოტო შ. ჩხეტიანისა

## ქართული სპილენძის კერა

ვილისი მდინარე მაშავერაზე ახლადაგებულ ხიდს გადაევლო, აღმართი ქშენით აირბინა და ჩვენ თვალწინ გადაიშალა ბებერი ცაცხვის ხეებით მეჩხრად დაფარული მთის სანახები. ბოლოს, ფერდობზე გაშენებული დიდი და პატარა სახლები.

— ესეც ჩვენი მადნეული! — თქვა შოფერმა.

— კაზრეთი! — გაუსწორა ჩემმა თანამგზავრმა

მაშ ასე, ჩვენ კაზრეთის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში ვართ. კომბინატის დირექტორი ფილიპე ნაჭყეპია მოსკოვშიაო, გვითხრეს მისი მოადგილე მშენებლობის დარგში ვასილ დრონოვი თავის კაბინეტში დაგვხვდა. აქვე დაგვხვდა გოლიათური აღნაგობისა და მეტად სანდომიანი სახის შექალარავებული კაცი. ეს გახლდათ „საქშახტმონტაჟის" სამმართველოს მთავარი მექანიკოსი კონსტანტინე გონგაძე. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობს კომბინატის ადმინისტრაციულ მშენებლობებს. ხსენებულმა სამმართველომ ააგო საცდელი ფაბრიკა, რომელიც უკვე მუშაობს, ეს ფაბრიკა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოქმედი მოდელია იმ დიდი გამამდიდრებელი ფაბრიკისა, რომლის მშენებლობაც კარგა ხანია დაიწყო სამმართველომ.

— როგორ მიდის ფაბრიკის მშენებლობის საქმე? — ვკითხე კონსტანტინე გონგაძეს

— ნელი ტემპით, — თქვა მან და დრონოვს გახედა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 7 (380) ივლისი, 1968 წ.

გამოცემის წელი 46-ე

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# თვალთათვის მშვენი“

— დიახ, ახლა სწორედ ამაზე ვლაპარაკობდით, — გვითხრა ვასილმა, — საქმე იმაშია, რომ კაპიტალდაბანდების საერთო თანხა მიმდინარე წელს ჩვენთან შეადგენს 2.280 ათას მანეთს. აქედან საამშენებლო-სამონტაჟო ხარჯებისათვის გათვალისწინებულია 1.715 ათასი მანეთი. ფაბრიკის მშენებლობის წილად კი მოდის შედარებით მცირე თანხა.

— თქვენ უფრო მეტი ღირებულების სამუშაოები შეგეძლოთ აგეთვისებინათ? — ვკითხე გონგაძეს.

— ათჯერ მეტი! — მოსჭრა მოკლედ მან და ფანქარი ნახაზებზე დააგდო.

— იმედი უნდა ვიქონიოთ, — დასძინა ბოლოს დირექტორის მოადგილემ, — რომ შესაბამისი ზემდგომი ორგანოები გაითვალისწინებენ ყოველივეს და მომავალ წელს გამოყოფენ საჭირო თანხებს.

მომავალი კი მართლაც დიდი აქვს კაზრეთის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატს და მთლიანად მშენებარე ქალაქს.

ვასილ დრონოვის კაბინეტში კედელზე გაკრულია მომავალი ქალაქის რუკა-პროექტი. ამ პროექტით პირველი რიგის სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს ქალაქის აგებას რვა ათასი მცხოვრებისათვის, თავის სკოლებით, საბავშვო ბაგა-ბაღებით და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობებით. პროექტით გათვალისწინებულია ქალაქის ხვალინდელი დღე, მაგრამ მის შემდგენლებს უფრო შორეულ მომავალზეც უფიქრიათ.

უფრო ხშირად ქალაქებს მდინარეები ჰყოფენ შუაზე. მსოფლიოს ქალაქებზე რომ არაფერი ვთქვათ, ასეთია საქართველოს ქალაქების მეტი ნაწილი — თბილისი, რუსთავი, მცხეთა, გორი, ბორჯომი, ქუთაისი, ჭიათურა, ზესტაფონი და ა. შ.

აქ კი შენდება ქალაქი, რომელსაც საოცარი სილამაზის მთა ექნება გამყოფად, მისი აღმოსავლეთი და დასავლეთი კალთები მრავალსართულიანი სახლებით დაიფარება, ხოლო მდინარე მაშავერა რკალად მოევლება მთის ქალაქს.

ვინ იცის, კიდევ რა სიმდიდრეს მალავს თავის წიაღში ეს კურთხეული მიწა. გეოლოგიური ძიებანი ჯერაც ხომ არ დამთავრებულა. თუმცა, მოდით. ის დავათვალიეროთ, რაც უკვე ნაპოვნია, როგორც იტყვიან, მათსავე ოჯახში ვეწვიოთ სახელოვან მემადნეებს.

კარიერის უფროსი ირაკლი გოგიტიძეა, ჩვენი მეგზური.

ირაკლი ახალგაზრდა კაცია, საშუალოზე მაღალი, ნათელი სახე აქვს, მტკიცე ხასიათი და, როგორც მისი ამხანაგები ამბობენ, ძალზე ყაირათიანია. ამის



კომკავშირელი მუშა ალა ნასტასოვა.

გამო მიანდეს მას, უთუოდ, ესოდენ პასუხსაგები საქმის თავკაცობა. გარდა ამისა, წლოვანებით ახალგაზრდა, როგორც ინჟინერი საკმაო გამოცდილების მქონეა. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ტყიბულში უმუშავნია, შემდეგ ალგეთში გადაუყვანიათ. მერე თბილისის მეტრომშენებლობაზე უსახელებია თავი. ორიოდე წლის წინათ კი ამ ვეებერთელა კარიერის უფროსადაც დაუნიშნავთ.

დაბიდან კარიერამდე 2-8 კილომეტრია. გზა მოწითალოა, სპილენძის ფერი და არშიასავით ეკვრის ამწვანებულ ხევის პირს.

გამაყრუებელმა ბათქის ხმამ შეძრა მიწის გული. ხევში ნისლივით ჩამოწვა დენთის კვამლი.

— ჩვენი მნგრეველები არიან, — გვითხრა ირაკლი გოგიტიძემ, — ფუჭ ქანებს აფეთქებენ. აი, იმ მთის წვერი მთლიანად უნდა მოვხსნათ, ვიდრე მადნამდე ჩავიდოდეთ, — დასძინა მან ბოლოს და მაღალი მთის მწვერვალისაკენ გაიშვირა ხელი.

განუწყვეტლივ გუგუნებენ მძლავრი ექსკავატორები, მიწას ტორავენ ოცდახუთტონიანი თვითმცლელები, გაშმაგებით აწყდებიან კედლებს მბურღავი მანქანები. აქ ფუსფუსებენ გამრჯე ვაჟკაცები — მიხეილ კაპანაძე, თეოფილე ასანიძე, ზურაბ ნემსაძე, ილია კაპანაძე, იურა როინიშვილი და სხვები.

როგორც კარიერის უფროსმა გვითხრა, აქ მოპოვებული სპილენძის მადანი ერთ-ერთი უმდიდრესია თავისი პროცენტული შემადგენლობით.

კარიერზე იღებენ აგრეთვე საუკეთესო ბარიტის მადანს, რომელიც ეგზავნება ქუთაისის ლითოფონის ქარხანას.

— ჯერჯერობით, აქ მოპოვებულ სპილენძის მადანსაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში ვგზავნით, — თქვა ირაკლი გოგიტიძემ, — შემდეგ კი, როცა დამთავრდება გამამდიდრებელი ფაბრიკისა და ავტოკლავის მშენებლობა, აქვე მოხდება მადნის გადამუშავება.

საუბრისას სახე ულიმის ახალგაზრდა ინჟინერს. უსმენ მას და ძნელი როდია გამოიცნო, თუ რატომ ალბეჭდვია მის სახეს სიხარული. ასეული წლობით მიძინებული ქართული ფერადი მეტალურგია იღვიძებს. გვაქვს ქართული ფოლადი, გვექნება ქართული სპილენძი.

ჩვენს ჯგუფს ახალგაზრდა კაცი მოუახლოვდა.

— კარიერის მთავარი ინჟინერი ილია ჟუჟუნაშვილი,—გაგვაცნო ირაკლიმ.

ილიას ირაკლიზე უფრო ხანგრძლივი სტაჟი აქვს კარიერზე მოღვაწეობისა. ჯერ კიდევ ათი წლის წინათ, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩამოსულა კაზრეთში. მაშინ აქ მცირე სამუშაოები მიდიოდა. ახსოვს ილიას, ერთხელ მიწის თხრის დროს ლითონის სადნობი ქურები აღმოაჩინეს. მოვიდნენ არქეოლოგები და... რაოდენ დიდი იყო მათი სიხარული და გაკვირვებაც, სპილენძის მოპოვების ადგილებში ფოლადის წარმოების ნაკვალევი რომ იხილეს.

მთათა დუმილს მხოლოდ მაშავერას ჩხრიალი არღვევს, მისი ხმა სიმღერასავით ისმის ხევში. დიახ, მაშავერა მღერის, მაგრამ რას მღერის მთის პატარა მდინარე? არ ვიცი! ძნელია ჩაწვდე ბუნების ენას; თუმცა მდინარის რაკრაკს ჩემი გულისთქმაც რომ ავაყოლე, ომახიანმა ქართულმა სიმღერამ შესძრა მთა და ველი.

რაც მტრობას დაუნგრევია
სიყვარულს უშენებია.

რაკრაკებდა მაშავერა, ბუბუნებდა მთა, ბანს აძლევდა ხევი, წკრიალებდა ქართული ფოლადი, ილიმებოდა სპილენძისფრად საკინძეგადაღეღილი მიწა.

**თენგიზ ლეკვეიშვილი**



ინჟინრები ირაკლი გოგიტიძე (მარცხნივ) და გიორგი ძხითარიანი.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



გარდამავალი დროშის გადაცემა საკრაულას კოლმეურნეობისათვის.

ფოტო თ. არჩვაძისა.

# ჩემს სოფელზე წერდა ლენინი



კარპეზ კიკნაველიძე

**მოგვითხრობს სოფელ საკრაულას მცხოვრები კარპეზ კიკნაველიძე**

ადრე უკვე მოგახსენეთ, ლენინის ის წერილი, სადაც ჩვენი საკრაულას უიღბლობა და სიდუხჭირე იყო აღწერილი, 1912 წელს დაიბეჭდა. იმ წერილში ამ უბედურებიდან ხსნის გზაც იყო დასახული და ჩვენი ხალხიც, მთელი ქართველი ხალხი, იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ხალხთან ერთად, გაჰყვა ამ გზას, საქვეყნო თავისუფლებისაკენ რომ მოგვიხმობდა.

ას ოთხი წლის კაცი ვარ, შვილებო! რამდენმა რამემ ჩაიარა ჩემ თვალწინ, ყველაფერი კარგად მახსოვს; მახსოვს რევოლუციის დღეები, შემდეგ, პირველი ნაბიჯები ახალი ცხოვრების გზაზე, მახსოვს საკოლმეურნეო მოძრაობის დასაწყისიც; და აი, ახლა ველარავინ ველარ იტყვის — საკრაულა ერთი მივარდნილი, მთებში ჩაკარგული სოფელიაო.

მივარდნილი რას მიქვია, საღამოობით ჩვენი მოზარდები ტელევიზორს რომ მიუსხდებიან, მოსკოვისა და ვარშავის თეატრებში გამართულ კონცერტებს რომ უსმენენ, შევხედავ მათ და ასე მგონია, ქვეყნის შუაგულში ვართ-მეთქი. სადაც ილიჩის ნათურა აინთება, რადიომიმღები და ტელევიზორი დაიდგმება, ელექტრონის უთო და სარეცხი მანქანა გამოჩნდება, იმ ადგილს მივარდნილს ველარ დაუძახებ. პატარა სოფელია ჩვენი საკრაულა, მაგრამ დიდი ცხოვრების მაჯისცემა აქ ძალიან კარგად ისმის; კულტურის სახლიც გვაქვს, საშუალო სკოლაც, მაღაზიები, სამკურნალო დაწესებულებები, ფოსტა; კოლმეურნეებმა ძველი ქოხების ნაცვლად მშვენიერი სახლები აიშენეს. ელექტრონი ფერმებშიც გავიყვანეთ, ახალი პროფესიების ხალხი გაჩნდა ჩვენს სოფელში — ელექტრომბურღავები, მექანიკოსები, მონტიორები...

ვერც მოსავალს დავემდურებით, ჩვენი ბაღები და ვენახები ყოველ შემოდგომაზე სავსეა ბარაქით; ჩვენი სოფლისა და რაიონის ფარგლებს გარეთაც იცნობენ საკრაულელ მევენახეებს, სოციალისტური შრომის გმირებს — შალვა თაბუკაშვილს, ვალერიან ბახტაძეს, ნიკოლოზ ხუსკივაძეს, შალვა ჰუმბურიძეს; ისინი ყოველწლიურად, ურწყავ ნაკვეთებზე, ჰექტარზე 60-70 ცენტნერ შამპანურის ჯიშების ყურძენს იღებენ, ასევე უხვი მოსავალი მოჰყავთ ჩვენს მემინდვრეებსა და მებაღეებს.

მთელი ჩვენი ახალგაზრდობა სწავლობს და შრომობს. გოგუცა კელენჯერიძის ცხრა შვილი საშუალო სკოლაში დადის, ორი კი დაუსწრებელი ინსტიტუტის სტუდენტები არიან. ვერა კიკნაველიძის ცხრა შვილი სიმწიფის მოწმობებით დაუბრუნდნენ საკოლმეურნეო მინდვრებს და თავდადებით შრომობენ. საკრაულელი მასწავლებლების, ექიმების, აგრონომების და სხვა სპეციალისტების უმრავლესობა ამავე სოფლის მკვიდრნი არიან; ამას გარდა, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებში მოღვაწეობს არა ერთი მეცნიერმუშაკი, რომლებიც ჩვენმა საკრაულამ აღუზარდა სამშობლოს.

პატარაა ჩვენი საკრაულა, მაგრამ მისმა შვილებმა მთელ საქართველოში გაუთქვეს მას სახელი; მთელი რესპუბლიკა იცნობს მოწინავე მეშახტეს ალექსანდრე ასათიანს, ამჟამად ის ტყიბულში მუშაობს; ჩვენივე სოფლის შვილია ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რაციონალიზატორი ანდრო კიკნაველიძე, რუსთაველი მეფოლადე ვაჟა კუპრაძე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ინჟინერი ვასილ კიკნაველიძე... და რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო!

ჩვენი სამშობლოს დიდი განსაცდელის ჟამს, სამამულო ომის წლებში ხუთასამდე ვაჟკაცი გავგზავნეთ ფრონტზე. ისინი მამაცურად იბრძოდნენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის ზეიმისთვის; და ჩვენ, საკრაულელები ამ დღეს დიდი სიხარულით მოველით, ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება, რომ ორმოცდათექვსმეტი წლის წინ ლენინმა ჩვენი სოფელი მოიხსენია თავის წერილში; ეს იმას ნიშნავდა, რომ დიდმა ბელადმა ხელი გამოგვიწოდა ჩვენსავე სახსნელად, ხელი გამოუწოდა მთელ საქართველოს, ყველა ჩაგრულ ხალხს და წაიყვანა ისინი ახალი გზით, თავისუფალი ცხოვრების გზით.

* დასასრული. იხ. „დროშა", № 6.

# სანაგავი ეკრანიდან

„ამერიკა ბორგავს, შფოთავს, ძრწის. მისი სიზმრები სავსეა გვამებით, მის მყუდროებას არღვევს აფეთქებათა გრუხუნი, მის ოცნებებს ამახინჯებს ავადმყოფური კრუნჩხვები“, — ასე წერდა ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი პიერ ბიარი, როცა ეხებოდა თანამედროვე ამერიკული კინოფილმების შემაძრწუნებელ ზემოქმედებას მაყურებელზე.

თვით ამერიკელებიც მეტად შეშფოთებულნი არიან ძალადობისა და მხეცური სისასტიკის ესკალაციით თავიანთ ეროვნულ კინოხელოვნებაში, იმ გაუთავებელი კინო-მკვლელობებითა და კინოსადიზმით, რომელსაც ბადებენ დღევანდელი ამერიკის „ღია ჭრილობები“ — ომი ვიეტნამში, რასობრივი სიძულვილი და განგსტერიზმი.

ამერიკელი კოვბოური ფილმი-ვესტერნები, ფილმები ომზე, დეტექტური ფილმები ადრეც სთავაზობდნენ მაყურებლებს ძალმომრეობის განსაზღვრულ დოზებს, მაგრამ ის, რაც ახლა ხდება შეერთებული შტატების კინოთეატრების ეკრანებზე, ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ნებადართულია ყველაფერი, აჩვენებენ ყველაფერს, რასაც კი შეუძლია მაყურებლის აღგზნება, მისი ყველაზე ქვენა გრძნობების გაღვიძება, გონების დახშობა, ნერვების დაწყვეტა და ისტერიამდე მიყვანა.

ასეთია, მაგალითად, ფილმი „ძალადობის მრწამსი“. მისი გმირები არიან ახალგაზრდა მოტორიზებული ბიტნიკები, „ველური ანგელოზები“, რომლებიც მუდამ ჩხუბისა და აყალმაყალის ხასიათზე არიან. ეს მორალურად გადაგვარებული, მხეცურ ინსტინქტზე აღზრდილი ახალგაზრდები მიმართავენ ძალმომრეობას, შანტაჟს: ისინი აშინებენ ყველა ირგვლივ მყოფთ. ხშირად მათი მსხვერპლი არიან ქალწულები, შინაგანად შეგუებულნი მორჩილებას, ნამდვილი საცოდავი ბაჭიები, უსუსურნი გველის ცივი, ჰიპნოზური თვალების წინაშე. მსხვერპლთა მშობლები კანონიერებაზე, მორალზე ლაპარაკობენ, მაგრამ მათ არავინ უსმენს. და მაყურებელიც გრძნობს მხოლოდ, რომ „ველურ ანგელოზებს“ შურისძიების აკვიატებული სურვილი ამოქმედებთ და რომ მათი დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ სისხლით.

კიდევ უფრო შემზარავია რეჟისორ რობერტ ოლდრიჯის ფილმი „თორმეტი ნაძირალა“, რომლის დემონსტრირების შემდეგ მაყურებელი ისე გამოდის დარბაზიდან, როგორც მაგრად ნაცემ-ნაგვემი მოკრივე რინგიდან. ფილმი ეხება მეორე მსოფლიო ომს, მასში მოთხრობილია სიკვდილმისჯილთა სპეციალური რაზმის შექმნის ამბავი; მოკავშირეთა ჯარების გადასხმის მომენტში რაზმმა უნდა შეუტიოს ციხე-კოშკს, სადაც მოთავსებულია გერმანელთა შტაბი. სპეციალური რაზმი ასრულებს დავალებას. და აი, ეკრანზე ერთმანეთს სცვლის უამრავი მკვლელობებისა და წამების საზარელი სცენები: სისხლის გუბეები, არაადამიანური ბღავილი, ადამიანის სხეულში შერჭობილი დანა, მარგილი, ნაჯახი, დაკრუნჩხული თითები, დაძაგრული კისრები, გაყინული თვალები, გაგუდულ-გასიებული სახეები... და იშვიათად ხდება, რომ სეანსის მიწურულს სასწრაფო დახმარებას არ გამოუძახონ. მაყურებლებს ნერვები ღალატობენ.



ცხადია, ომი საშინელება იყო; მაგრამ მის ასახვას თავისი ესთეტიკური კანონები, თავისი ნორმები აქვს. არ შეიძლება აქცენტი გადაიტანო მხეცურ საწყისზე, არ შეიძლება „დამატკბობელ სანახაობად“ აქციო ყელში წაჭერილი თითები და გულში დაკრული დანა.

კიდევ უფრო საშინელებებით არის სავსე ფილმები: „ლიუკი — ცივი ხელი“, „მკვლელი ალაბამადან“, „სად არის შენი ყვავილი, ჯერი?“ „აჩრდილსაც უნდა სიყვარული“ და ა. შ. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ნიუ-იორკში, როგორც ერთმა იქაურმა ჟურნალისტმა გამოიანგარიშა, მარტო ერთი კვირის მანძილზე ნაჩვენებ ფილმებში დემონსტრირებული იყო 144 მკვლელობა, 12 წამება, 13 მოტაცება, 12 ციხიდან გაქცევა, 2 მოკვლა ლინჩის წესით და ერთიც მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ეპიზოდი.

თავისთავად ცხადია, რა ზემოქმედებასაც მოახდენს სისხლისა და სიკვდილის ასეთი ნიაღვარი მაყურებელთა ყველაზე მრავალრიცხოვან, ყველაზე მგრძნობიარე ნაწილზე — ბავშვებზე, ახალგაზრდობაზე.

ამერიკულ გაზეთებში ამას წინათ გამოქვეყნდა ცნობა, რომელიც იტყობინებოდა ოთხი წლის გოგონას — მერი ლინის უგზოუკვლოდ დაკარგვას. ორი დღის შემდეგ მერი იპოვნეს თავის სახლის სარდაფში. გოგონას სულერთიანად აჩეხილი გვამი ხის კასრში იყო ჩაჩურთული ცარიელი ბოთლებისა და ძველმანების ქვეშ. მკვლელებმა — მოკლულის 8 წლის ძმამ სტენლი ლინმა და მისმა ამხანაგმა, მეზობლის 13 წლის ვაჟმა, ჯონ მეკასმა განაცხადეს: „ჩვენ ძალიან გვაინტერესებდა, როგორ კეთდებოდა ყველაფერი ეს სინამდვილეში. თვითონ მერისაც კი აინტერესებდა“.

აი ასეთია ამერიკული კინოს „აღმზრდელობითი“ და „ემოციური“ ზეგავლენა მაყურებელზე.

ამერიკელები შეძრწუნებული არიან. მათ აფორიაქებულ გრძნობებზე მეტყველებენ მრავალრიცხოვანი რეზოლუციები, პეტიციები, რომელთაც მიზნად აქვთ, ზეგავლენა მოახდინონ კინოფირმების პატრონებზე. ცნობილი ამერიკელი კინოკრიტიკოსი ბოსლი კრაუტერი სათავეში ჩაუდგა ძალმომრეობის ამ ნამდვილი ექსკალაციის წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობას: „ამგვარი ფილმები ნამდვილი საწამლავია, — წერს იგი, — და მე მეშინია მაყურებლის გრძნობებზე გაწეულმა ასეთმა სპეკულაციამ არ მიგვიყვანოს ჩვენი ზნეობისა და ძალის საბოლოო დაშლასა და სიკვდილამდე“.

კაცთმოძულეობის, ბარბაროსობისა და სისასტიკის ეს შეუწყვეტელი ნიაღვარი ეკრანზე გამოხატავს ნამდვილ სასოწარკვეთილებას; ამერიკელს ცუდად სძინავს, ღამღამობით იგი ბალიშის ქვეშ რევოლვერს ინახავს. ჰოლივუდის ფილმები წყალს ასხამენ მმართველთა და გამგებელთა წისქვილზე, რასაც ასე დაუფარავად აღიარებს კინომრეწველი რიჩარდ ჰოუელი: „ადამიანები ჯერ კიდევ ფიქრობენ, რომ ეს ხელოვნებაა, ეს კი, უბრალოდ, ბიზნესია. ჩვენ ვადგენთ პროგრამებს ფინანსური მაგნატების დაკვეთით“.

ამერიკელი კინობიზნესმენები ამ მხრივ მარტონი როდი არიან. ამ მოლიპულ გზაზე დგას დასავლეთ ევროპის ქვეყნების კინოხელოვნებაც იმ არც თუ მცირე გამონაკლისებს გარდა, როცა დასავლეთის მოწინავე კინოოსტატები ფიქრობენ თავიანთი ხალხის ბედილბალზე, მწვავე სოციალურ პრობლემებზე; დასავლეთის ხელოვნების ეს პროგრესული ნაკადი სულ უფრო და უფრო მეტ ძალას იძენს, მეტ მაყურებელს იზიდავს.

დასავლეთევროპული რეაქციული კინოხელოვნება მოქცეულია ფინანსური მაგნატების მარწუხებში, ემსახურება მათ მიზანს. მიზანი კი მათ ასეთი აქვთ: მოწამლონ მაყურებელთა გონება, გააბრუონ იგი აპოლიტიკურობისა და ეროტიზმის ბანგით, ჩამოაშორონ მათი ყურადღება მწვავე ეროვნულ და სოციალურ პრობლემებს.

ეს ე. წ. „კომერციული“ ფილმები საბჭოთა მაყურებლისათვის უცნობი არ არის. ჩვენს ქვეყანას ფართო კულტურული ურთიერთობა აქვს დამყარებული მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოსთან. ჩვენს ეკრანებზე ნაჩვენები მრავალი შესანიშნავი უცხოური კინოფილმი საბჭოთა მაყურებლის დამსახურებულ მოწონებას იმსახურებს. ამ ფილმების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ის, რომ მათთან ერთად ჩვენს ეკრანებზე ხანდახან გამოჩნდება ხოლმე ისეთი ფილმებიც, რომლებიც აცდენილნი არიან ჭეშმარიტი ხელოვნების გზას.

შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისათვის მოვიყვანთ რამდენიმე ფილმს, რომლებსაც დღესაც უჩვენებენ ჩვენს კინოთეატრებში. ასეთებია: „ოპერაცია „წმინდა იანვარიუსი“ და „გაძარცვა იტალიურად“, სადაც „პატრიოტი“ ქურდები და მძარცველები თითქმის პატიოსნებისა და მოქალაქეობრივი ვაჟკაცობის განსახიერებას წარმოადგენენ, ფილმები „დაბნელება“ და „გასაღები“, რომელთა გმირები ვერავითარ გამოსავალს ვერ პოულობენ თავიანთ უმიზნო და უაზრო ცხოვრებიდან; ეს ბოლო ორი ფილმი თავისთავად ცუდი არ არის, დადგმულია შესანიშნავად, როლებს ბრწყინვალე მსახიობები ასრულებენ, მაგრამ მაინც საჭიროა ასეთ ფილმებს ჩვენს ეკრანებზე მიუძღოდეთ ისეთი მოკლე ანოტაციისებური რამ, როგორც დართული აქვს ყველა უცხო ენიდან თარგმნილ მხატვრულ წიგნს; ჩვენი ახალგაზრდა მაყურებლისათვის ეს იქნება ერთგვარი ორიენტირი, რომელიც დაეხმარება მას სწორად გაიგოს ფილმი, გაიგოს, თუ რას ქადაგებს იგი, რა ცხოვრებას ასახავს; ამგვარ მოკლე ანოტაციას ეკრანზე დიდი სარგებლობა შეუძლია მოიტანოს, ახალგაზრდა მაყურებელი უფრო ფხიზელი თვალით დაუწყებს ყურებას ფილმს, რომელშიც მისთვის უცხო ცხოვრებაა ასახული, უკეთ გამოარკვევს, რა არის მასში კეთილი, კარგი და რა არა!

დასამალი ხომ არ არის, რომ ბევრ ახალგაზრდას არ შესწევს მსგავსი ნაწარმოებების სწორი და ღრმა ანალიზის უნარი და ეკრანზე გაცოცხლებულ გმირებსა და მათ ცხოვრებას საკუთარი ცხოვრების ეტალონად იღებს. და რამდენადაც საყოველთაოდ ცნობილია კინოს ზეგავლენის ძალა ადამიანის გრძნობებსა და გონებაზე, მით უფრო ქმედითი უნდა იყოს ჩვენი მუშაობა მაყურებლის იდეური და ესთეტიკური აღზრდისათვის, მისი გემოვნების ამაღლებისა და გაფაქიზებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი გადაჭრით მოითხოვენ ჩვენგან მარჯვედ და სწორად გამოვიყენოთ იდეოლოგიური ფრონტის მთელი ძალები, მილიონთა გონებასა და გულზე ზემოქმედების ყველა ფორმა და საშუალება.

ვ. ჯანელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თოფით



1911 წელს პარიზში გაიმართა მონადირეთა საერთაშორისო შეხვედრა. საფრანგეთის დედაქალაქში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ მონადირეები, რომლებმაც თან უამრავი ექსპონატი ჩამოიტანეს. რას არ ნახავდით აქ: ვრცელ დარბაზებში გამოფინეს ნილოსის ნიანგების და უსურიის ვეფხვების ხალიჩასავით აჭრელებული ტყავები, სპილოს ეშვები, ბეჰემოტების კბილები, ირმების და ჯიხვების რქები, ლომების, შველების, ხოხბების, სირაქლემის ფიტულები...

კომისია გულმოდგინედ სწავლობდა თვითეულ ექსპონატს. ბოლოს, რამდენიმე დღის დავისა და კამათის შემდეგ, ჟიურიმ პირველი ადგილი მიაკუთვნა ურალის საბადოების მფლობელს — ნადირობის თავგამოდებულ ტრფიალს ე. დემიდოვს. გამოფენაზე წარმოდგენილი ჯიხვის რქებისათვის დემიდოვს პირველი ხარისხის დიპლომი და ოქროს დიდი მედალი გადასცეს.

გახარებულმა დემიდოვმა ხელი ხელს შემოჰკრა და ყველა იქ დამსწრე თავის უღრან ტყეებში სანადიროდ მიიპატიჟა.

რამდენიმე ხნის შემდეგ პარიზიდან ლაგოდეხში მართლაც ჩამოვიდნენ დემიდოვის სტუმრები. აქაურ ატეხილ ტყეებს, ცამდე აზიდულ მწვერვალებს, ჩანჩქერებს და ნადირ-ფრინველის სიმრავლეს მანამდეც ბევრჯერ მოუხიბლავს უცხოელი მონადირეები და დემიდოვს სულაც არ უკვირდა, რომ მისი სტუმრები ასე აღტაცებულები იყვნენ და მადლობას უხდიდნენ ბუნების ასეთ ზღაპრულ წიაღში ჩამოყვანისათვის.

ლაგოდეხის დღევანდელი ნაკრძალი და მისი მომიჯნე ტერიტორია — ზაქათლის რაიონი — დემიდოვმა 1903 წელს აიღო სამონადირეო იჯარით. იმ დროს ცნობილი მილიონერი დემიდოვი სახსრებს და დროს არ ზოგავდა, რომ ამ ადგილებში საკუთარი სამონადირეო მეურნეობა მოეწყო.

ხაზინიდან უზარმაზარი ტერიტორიის იჯარით აღების დროს დემიდოვი მხოლოდ ერთი მიზნით ხელმძღვანელობდა — რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიენიჭებინა თავის თავისათვის და იმ სტუმრებისათვის, რომლებიც ლაგოდეხში ჩამოდიოდნენ მასთან ერთად, მთელი კვირაობით დაეხეტებოდნენ ტყეებში და უმოწყალოდ ავლებდნენ მუსრს ნადირსა და ფრინველს.

რამდენიმე წელიწადში ამ ადგილებში თითქმის მთლიანად გაიჟლიტა ნადირი და ფრინველი და ენით აუწერელი ზარალი განიცადეს ტყეებმაც.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი საბოლოო დაღუპვისაგან გადაგვერჩინა ბუნების ეს შესანიშნავი კუთხე. ლაგოდეხის ნაკრძალი ნამდვილ სახალხო კუთვნილებად გადაიქცა და იქ ფაუნისა და ფლორის დაცვითი სამუშაოები და ნაყოფიერი მეცნიერული საქმიანობა გაიშალა.

• • •

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ტყეების სიმრავლე და მთების მოხერხებული განლაგება, რბილი ჰავა ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს ქმნიან მრავალფეროვანი მცენარეების და ცხოველების გასამრავლებლად. თავისი გეოგრაფიულ-ისტორიულ პირობებით და ბუნებრივი სიმდიდრეებით ეს ტერიტორია წარმოადგენს კომპლექსურ ნაკრძალს, სადაც ერთ მთლიანობად გვევლინება ფაუნა, ფლორა, ნიადაგები და წყლის რეჟიმი. ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი, რომლის ქვედა ნაწილი ზღვის დონიდან 500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, ზედა-სუბნივალური ზონა კი 3500 მეტრამდეა აზიდული — თითქმის ყველა იმ მცენარეთა ნაირსახეობას მოიცავს, რომლებიც კავკასიის ფლორისათვის არის დამახასიათებელი.

მნახველის თვალს ხიბლავს „ლაგოდეხის თეთრყვავილა“, „ლაგოდეხის გენციანა“, „მრგვალი წამალი“, „იორდასალამი“ და სხვა ჯიშის მცენარეების ენდემური სახეობები, რომლებიც მინდვრებსა და მდინარეების სანაპიროებს შეფენიან, ნაირფერადად ჰყვავიან და ზღაპრულ იერს აძლევენ გარემოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მცენარეთა ზოგიერთი სახეობა არა მარტო დეკორაციული მიზნებისათვის გამოიყენება, არამედ პრაქტიკული დანიშნულებაც აქვთ და წარმატებით იყენებენ მედიცინაში.

# ნუ შემოხვალთ





ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალს, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ნაკრძალია მთელ საბჭოთა კავშირში, 1320 ჰექტარი ტერიტორია უჭირავს: ამ შედარებით მცირე ტერიტორიაზე მრავალი სახეობის იშვიათი ნადირი, ფრინველი, მწერი და მღრღნელია გავრცელებული. ნაკრძალში გასული წლის ბოლოსათვის აღრიცხული იყო 350 სული ირემი, 510 არჩვი, 3 ათასი შველი, 700 კავკასიური ჯიშის ჯიხვი, 2 ათასი გარეული ღორი, 25 დათვი.

განსაკუთრებით დიდებული სანახავია ნაკრძალი გაზაფხულზე. ხეები ხასხასა მწვანით იმოსებიან. ველ-მინდვრებზე ათასნაირი ფერის ყვავილები ღაღანებენ. ალპურ ზონამდე შეფენილ ტყის მასივებს მარადიული თოვლით შემოსილი დიდებული მწვერვალები დასცქერიან თავზე.

ლაგოდეხის ნაკრძალში არა მარტო სასარგებლო ნადირ-ფრინველის, არამედ მგლის მოკვლაც აკრძალულია. აქ ყველაფერი ბუნების კანონზომიერებას ემორჩილება და გარედან მის საქმეში ჩარევის ნებას არავის აძლევენ. ლაგოდეხის ნაკრძალში, ამ მადლიან ლაბორატორიაში ყველაფერი ისე უცვლელად და ხელუხლებლად უნდა დარჩეს, როგორც ეს ბუნებას დაუკანონებია.

• • •

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის მთავარი დანიშნულებაა შეინარჩუნოს ბუნებრივი ლანდშაფტი, დაიცვას წყლის რეჟიმი, ხელი შეუწყოს მცენარეების და ცხოველების გამრავლებას.

ამ საშვილიშვილო საქმის შესრულებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის ინჟინერ-მეტყევეები, მცველ-ეგერები, მეცნიერ-მუშაკები; ნაკრძალში დიდი და ნაყოფიერი ბიოტექნიკური და მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოები წარმოებს. მეცნიერები სისტემატურად აღრიცხავენ მცენარეების, ცხოველებისა და ფრინველების რაოდენობას, სწავლობენ მათი გავრცელების არეალს, სპეციალისტები ახდენენ ფენოლოგიურ დაკვირვებებს — თვალყურს ადევნებენ და აანალიზებენ ცხოველების ცხოვრებას, მათ ზრდა-განვითარებას მაკეობის, მშობიარობისა თუ ბეწვის ცვლის პერიოდებში.

უკანასკნელ წლებში ლაგოდეხელმა მეცნიერ-მუშაკებმა 60-მდე მეცნიერული შრომა გამოაქვეყნეს: „სოკოვანი დაავადებანი“, „ტყის ნიადაგების შესწავლა“, „მტაცებელი ცხოველების ეკოლოგია“ და სხვ. თვითეულ ამ ნაშრომს ღრმა მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ლაგოდეხის ნაკრძალის კოლექტივი, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერ-მეტყევე ბეჟან სარალიძე უდგას სათავეში, მძიმე, მაგრამ საამაყო და სახალისო მუშაობას ეწევა, რომ სანიმუშოდ მოუარონ სახალხო საუნჯეს — ლაგოდეხის ნაკრძალს.

• • •

ლაგოდეხის ნაკრძალს, როგორც უკვე ვთქვით, 1320 ჰექტარი ფართობი უჭირავს. ეს ტერიტორია მეტად მცირეა იმ ძვირფასი და მრავალრიცხოვანი ფაუნისა და ფლორისათვის, რომლებიც ამ ნაკრძალშია გავრცელებული; როგორც ცნობილია, 1 სულ გარეულ ცხოველზე სულ ცოტა 1 ჰექტარი საძოვარი ფართობი მაინც უნდა მოდიოდეს. ასეა მოძმე რესპუბლიკების მთელ რიგ ნაკრძალებში, რომლებსაც ხშირად 700-800 ათასი ჰექტარი უჭირავთ და საჭირო რაოდენობაზე გაცილებით მეტი საძოვრები აქვთ.

ლაგოდეხში თვითეულ სულ გარეულ ცხოველზე 0,3 ჰექტარი საძოვარი ფართობი მოდის. საძოვრების ასეთი სიმცირე არა მარტო აფერხებს ცხოველების ნორმალურ გამრავლებას, არამედ ხშირ შემთხვევაში აიძულებს კიდეც მათ ნაკრძალის ტერიტორია დატოვონ და შორეულ ადგილებში გადავიდნენ საცხოვრებლად.

როგორ მდგომარეობაში ვარდებიან ნაკრძალიდან ჯოგებად აყრილი გარეული ცხოველები? აზერბაიჯანის სახელმწიფო ნაკრძალი, რომლის ტერიტორია გაცილებით დიდია ლაგოდეხის ნაკრძალის ტერიტორიაზე, მჭიდროდ როდი ესაზღვრება ჩვენს ნაკრძალს. ცხოველებმა, ვიდრე სახელმწიფოს მიერ საიმედოდ დაცულ აზერბაიჯანის ნაკრძალში მოხვდებოდნენ, ე. წ. ნეიტრალური ზონა უნდა გაიარონ.

ლაგოდეხის ნაკრძალიდან აყრილი ცხოველები, სულ ერთია, რომელ მხრითაც არ უნდა წავიდნენ ისინი საკვების საძებნელად, ხშირად ბრაკონიერების ხელში ვარდებიან. არის შემთხვევები, როცა ბრაკონიერები ნაკრძალის ტერიტორიაზე შესვლასაც კი ბედავენ; გასაგებია, თუ რა დღეს დააყრიან ისინი ნაკრძალის ტერიტორიიდან გამოსულ გარეულ ცხოველებს.

როგორც ლაგოდეხში გვითხრეს, არსებობს შესაძლებლობა ნაკრძალის ტერიტორიის გაფართოებისა, ეს საქმე გადაუდებლად უნდა მოგვარდეს.

ზემოთ ჩვენ ნაკრძალებს შორის მდებარე ზონა ვახსენეთ, სადაც ბრაკონიერი შედარებით თავისუფლად გრძნობს თავს. აქ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ბრაკონიერები ხშირად ვილისებით შედიან ტყის გზებზე. ხოლო ეგერებსა და ბუნების სხვა დამცველებს კოჭლი ცხენებიც არა ჰყავთ, რომ დროზე მიუსწრონ და ნადირ-ფრინველი ბრაკონიერის ტყვიას გადაარჩინონ. ბრაკონიერები თვალსა და ხელს შუა გაუსხლტებიან ხოლმე ბუნების დამცველებს და ლამის არის გამოთხოვების დროს თეთრი ხელსახოცებიც დაუქნიონ.

საერთოდ, ყველამ ვიცით, რომ ბრაკონიერს შუბლზე არ აწერია, რომ ის ბრაკონიერია. აქ ვლაპარაკობთ არა მარტო ლაგოდეხის ტყეებზე. მოდით და ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდეთ — სადაც ირემი და შვლის ნუკრი ბინადრობენ, იქ თოფიანი კაცი არ უნდა დადიოდეს.

ოთარ დემეტრაშვილი

# კვლავ გერმანიაში

კონსტანტინე გამსახურდია



ბერლინის უნივერსიტეტი. ალექსანდრე ჰუმბოლტის ძეგლთან.

პროფესორის ალფრედ კურელლას სახლში დიდხანს გაგრძელდა პურობა. სასტუმროში რომ მივბრუნდით, უკვე 11 საათი იყო. დაძინებას ვაპირებდი, ისე მოგვესმა ტელეფონის რეკვა.

„ბოდიში ეგზომ გვიან დარეკვის გამო. თქვენი ნახვა მინდოდა, როდის გეახლოთ?"

„ვინა ბრძანდებით?"

„მე გახლავართ ერთ-ერთი ქართველი, ბერლინში მცხოვრები".

„ახლავე ამობრძანდით".

აღმოჩნდა ახალგაზრდა ექიმი გიორგი წულუკიძე. იგი ბერლინში დაბადებულა. სამშობლოში არასოდეს ყოფილა.

რესტორანში ჩავედით და მან მოგვითხრო თავისი ტანჯული ცხოვრების ისტორია. მამამისი მიხეილი 1921 წელს გამოქცეულა.

ოჯახი აუტანელ გაჭირვებაში ჩავარდნილა ჰიტლერულ ბერლინში.

მიხეილს არავითარი ხელობა არა ჰქონია, დედას მკერაობა დაუწყია. უგერგილო კაცი კლიენტებს წაუღებდა თურმე მეუღლის მიერ შეკერილ კაბებსა და საცვალს, მიხეილს გაზეთების კითხვა გაიტაცებდა ზოგჯერ და გატანებულ ნივთებს მკარგავდა ხოლმე ელექტრომატარებელში.

პატარა გოგი წამოიზარდა. ოჯახი შავი პურის ამარა ცხოვრობდა. ქრისტინე შეევედრა მეზობლად მცხოვრებ გერმანელ ექთანს: გერმანული მასწავლეო. ერთი წლის განმავლობაში ქრისტინე ისე დახელოვნდა, რომ იგი ბერლინის უნივერსიტეტში შევიდა სამედიცინო ფაკულტეტზე და ჰუმბოლტის სახელობის სტიპენდია დაიმსახურა.

გოგიმ ფრანგული საშუალო სკოლა ფრიადზე დაამთავრა და იგიც სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

დადგა მეორე მსოფლიო ომის მრისხანე წლები. ბერლინის ბომბარდირება დაიწყო და აქ ისეთი საშინელი ამბავი შეემთხვა გიორგის ოჯახს, რომელიც ცალკეული ნოველლის საგნად გამოდგებოდა. გიორგის სახლს ფუგასური ბომბი დაეცა.

ფუგასურმა ბომბებმა გიორგი ვერ დააშინეს, დედ-მამა თავისი მოტოციკლით გადაიყვანა სამშვიდობოს. მერე კვლავ მობრუნდა ცეცხლშემოგზნებულ სახლში, დედის მიერ ნაჩუქარი სკელეტი წამოიღო და საყვარელი კატაც ცაბუნა თან წამოიყვანა.

უნტერ დენ ლინდენზე ბომბები სკდებიან, გოგი მიჰქრის ალექსანდრეს მოედნისაკენ, მოტოციკლის წინა კოფოზე აღმართულია უზარმაზარი თეთრი სკელეტი.

უსახლკაროდ დარჩენილი ავარები ხუმრობის გუნებაზე დააყენა ასეთმა სურათმა: გოგის წინ უზის სკელეტი. ბოლჩაში ჩამწყვდეული კატა ჩხავის. ავარები იჯღანებიან.

„ეჰე, ეს ყმაწვილი ისე დაუშინებია ბომბებს, თავისი ცოლი სასაფლაოზე მიჰყავსო".

ომი დასრულდა. გოგიმ ცოლი შეირთო, ორი ბიჭი ეყოლა.

დედამ, შვილმა და გოგის მეუღლემ იმდენი იშრომეს, ბერლინის ცენტრში ორსართულიანი ბინა გამართეს. ექიმს, ქრისტინე წულუკიძეს სახელი გაუვარდა. როცა გერმანელი მწერალი ბრეხტი კვდებოდა, დაჟინებით მოითხოვდა თურმე: ექიმი წულუკიძის გარდა სხვა ექიმი არავინ მომიყვანოთო.

16 ნოემბერი.

გამომცემლობამ მოგვამაგრა განყოფილების გამგე — ფროლაინ ასტრიდი, ერთი მხატვარი ფოტოგრაფი და ერთი მსუბუქი მანქანა. დავიწყეთ ბერლინის დათვალიერება.

17 ნოემბერი.

დილის ათ საათზე დაგვირეკა ასტრიდმა: კულტურის მინისტრის მოადგილე ირინე გუზი გეახლათ, გთხოვთ რესტორანში ჩამობრძანდეთ და მასთან ერთად ისაუზმოთო.

ირინე გუზი ფრიად განსწავლული მანდილოსანი აღმოჩნდა. მას კარგად სცოდნია მსოფლიო მწერლობის მრავალი შედევრი და „ვეფხისტყაოსნის" შინაარსიც. მირანდამ მას აჩუქა მინიატურული „ვეფხისტყაოსანი".

ირინე სწუხდა: ხვალ საქართველოში მივდივარ და შინ ვერ გისტუმრებთო.

საღამოს გოგი წულუკიძემ მოგვინახულა, ელისო ვირსალაძის კონცერტზე მიგვიწვია. ვიდრე კონცერტი დაიწყებოდა, იმპრესსარიო შეეკითხა პიანისტს: თარჯიმანი ხომ არ გნებავთო?

ელისოს მშვენივრად სცოდნია გერმანული და მან მოკლედ მოუთხრო აუდიტორიას თავისი ბიოგრაფია.

როცა ელისომ შოპენის დაკვრა მოათავა, მთელმა დარბაზმა ოვაცია მოუწყო პიანისტს და სამგზის გამოიყვანეს „ბისის" შეძახილით.

18 ნოემბერი.

ცნობილია: ქალაქ ბერლინის გერბია გვირგვინოსანი დათვი. მე მუდამ მიყვარდა მხეცებისა და ნადირების, გარეული ფრინველების და ქვეწარმავალთა დათვალიერება.

ბერლინის ზოოპარკი, რომელსაც „ცოოს" უწოდებდნენ, არა ერთი პოეტის კალმით ყოფილა ასახული. სხვათა შორის, ფრანგმა პოეტმა არტურ რემბომ დაწერა „ცოოს" შესახებ ბრწყინვალე ნარკვევი. მე ხშირად ვესტუმრებოდი ხოლმე ზოოპარკში ქართულ კამეჩებს.

ახლა ეს ზოოპარკი დასავლეთ ბერლინშია. აღმოსავლეთ ბერლინში ბომბებს გადარჩენია შესანიშნავი ეგზემპლარები — წაბლისფერი დათვი ნანტი და მისი ოჯახი.

როცა ჩვენ მათ ვეწვიეთ, უზარმაზარი დათვი შემოგვეგება. იგი დიდი იჭვნეული მეუღლე აღმოჩნდა. მისი „ცოლი" საგანგებო ბუნაგში იმალებოდა, შორიახლოს ორი შესანიშნავი ბელი შევნიშნეთ.

მათ ლოდებზე დაედოთ თავი და ტკბილად ეძინათ.

ნანტის მირანდამ მიართვა შოკოლადი. მან ჯერ მარჯვენა თათით მიიტანა იგი ცხვირთან, უყნოსა, მერმე მარცხენაში გადაიტანა და მადიანად შეექცა. როცა ჩვენ წასვლას დავაპირეთ, ნანტი აბუზღუნდა, თითქოს მოგვძახოდა: კიდევ მომეცით შოკოლადი.

სიჭაბუკისას მე ხშირად მინახავს რომში კაპიტოლიის ორი საკმაოდ გაძვალტყავებული ძუ მგელი, რომელნიც რომაელებს შერაცხული ჰყავთ რომის დამაარსებელთა რომულისა და რემას დედამძუძედ.

19 ნოემბერი.

დილას დაგვირეკა ლეონარდ კოშუტმა. ნამეტნავად მომენატრეთ, ამ საღამოს გეახლებით და შინ წამოგიყვანთო.

12 საათზე კარლ კოკოშკომ დაგვირეკა. დღეს ორ საათზე მოვალ და სადილად დაგპატიჟებთო.

ზუსტად ორ საათზე მოვიდა კარლ და თავისი ფოტოაპარატი თან მოიტანა. გვაჩუქა თავისი უკანასკნელი წიგნი „ბაი დენ ენკელ ნასრადინს".

ბერლინურმა რესტორნებმაც გამახსენეს ჩემი სიჭაბუკე. სოკოს წვენი, სოკოს ომლეტი, შემწვარი სოკო და სხვა.

ტფილისიდან წამოღებული ღვინოც მივაყოლეთ სოკოს. მირანდა მეხუმრება: მე მეშინია, კოტე შენ სოკოდ არ გადაიქცეო.

მე დიდი მოყვარული არა ვარ ფოტოგრაფიისა. მაგრამ სტუმრის ხათრით კვლავ წავედით ბერლინის დასათვალიერებლად და მისი აპარატი თან წავიღეთ. ეს საქმე ბრანდენბურგის ჭიშკართან დაიწყო. რა საწყალობელი სანახავია ჰოტელ „ადლონ". კაფე „იმპერატორ" გაუნადგურებია ამერიკულ ბომბებს.



ჰოტელ „ადლონში" ხშირად ვწვევივარ ნიკო ნიკოლაძეს; ის დიდად მომხიბვლელი და განსწავლული კაცი იყო. რა არ იცოდა მან: შექსპირი და ბერნარდ შოუ, ბერგსონი, კირკეგო და სელმა ლაგერლეფ; ინდოეთის ფილოსოფია და იტალიური რენესსანსის პოეზია, მხატვრობა და ისტორია.

ერთხელ ღამეულ საუბრებში მითხრა:

„ახალგაზრდებმა გული არ უნდა გაიტეხოთ. იბრძოლეთ, შვილებო, ეგებ ოდესმე დაგვიჯდეს დუშაში".

ნიკო ნიკოლაძეზე ადრე მე მომესმოდა მთელი ჩემი სიჭაბუკის მანძილზე დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ ჰიპნოზურად ჩემს სულში ჩაძახილი — „იბრძოლე"!

~~დამეც ვიბრძოლე.~~

~~ვიბრძოდი სიტყვით, ვიბრძოდი [illegible] ჩემი სამშობლო იყო ჩემი ხატი და [illegible] მას [illegible] და [illegible]~~

ბრანდენბურგის ჭიშკრიდან ბერლინის უნივერსიტეტამდის ისე ვიარეთ, რომ არც ერთი სახლი არ შემიმჩნევია, ჩემს სიჭაბუკეში ნახული.

უნივერსიტეტის ეზოში შევედით.

აი გრანდიოზული გადაჭრილი ბერმუხის ძირი, კოკოშკომ აქაც გადაგვიღო სურათი. მე კვლავ შემზარა ამ შესანიშნავი ხის ამბავმა. რა ბედნიერი ვიყავი, როცა ამ გოლიათის ჩრდილში ვისვენებდი ლექციებისაგან დაოსებული.

ო, ტემპორა, ო, მორეს! ჰოი, დრონო და ჩვეულებანო! ვინ წარმოიდგენდა ოდესმე, რომ უნივერსიტეტებსა და მუზეუმებს ბომბებს დაუშენდნენ.

გადარეულმა ჰიტლერმა ყველას გადააჭარბა და, მათ შორის ბისმარკსაც.

როცა იმპერატორის ვილჰელმ I-ის არტილერია საფრანგეთის ქალაქებს ზარბაზნებს უშენდა, ბერლინელი დამები ეახლნენ ბისმარკს და შესჩივლეს:

„თავადო, ნუთუ თქვენ ისეთი უგულო აღმოჩნდებით, რომ რაიმსის კათედრალს ზარბაზნებს დაუშენთ?"

ბისმარკმა ჯერ მწარედ გაიღიმა და მერე სთქვა: „ალა გეერ კომ ალა გერ, მედამ" (ომში ისე უნდა მოიქცე, როგორც ომს ესაჭიროება). ბოლოს დააშოშმინა მანდილოსნები.

არა, ქალბატონებო, რაიმსს ჩემი ზარბაზნები გვერდით ჩაუვლიანო.

ჰიტლერის არტილერიამ არ დაზოგა რაიმსის უბრწყინვალესი ტაძარი.

უხსოვარ დროიდან, ინკვიზიციის პერიოდის ჩათვლით, არავის უხილავს ბუხენვალდი და ოსვენციმი.

ჩვენ, ვაიმარიდან მობრუნებულთ შემოგვთავაზა ჩვენმა მდივანმა, ბუხენვალდს ხომ არ მოინახულებთო? მე უარი ვთქვი ამის გამო. ან რათ მინდოდა ამ სადისტური ვაკხანალიის ნაშთების ნახვა!

იმავე საღამოს ლეონარდ კოშუტს ვეწვიეთ, იგი ცხოვრობს ტრეპტოვში. ოციოდე მეტრის მანძილზე უკვე დასავლეთ ბერლინია.

სასტუმროდან წაგვიყვანა საკუთარი მანქანით გამომცემლობის პარტკომის მდივანმა. მანქანას მართავდა მისი მეუღლე ელზა.

ლეონარდსა და მის მეუღლეს, შარლოტეს ფრიად უყვართ რუსთველი და მთელი საქართველო. შარლოტე რედაქტორია გამომცემლობის „ნოიეს ლებენ" („ახალი ცხოვრება"). ვახშამი და მასპინძლობა დიდი სიტფოთი იყო გამსჭვალული.

როცა ჩვენს სასტუმროში ვბრუნდებოდით, ასეთი კურიოზი შეგვემთხვა: ჩვენს მანქანას წამოეწია ავტოინსპექტორი, გაგვაჩერა. შოფერის ადგილზე მჯდომ ელზას მიეჭრა, ზედ ცხვირთან მიუტანა ტუჩპირი და უყნოსა.

მე გავეხუმრე პარტკომის მდივანს:

„თქვენისთანა გულგრილი ქმარი ჯერ არ მინახავს. პოლიციელი საკოცნელად მიეტანა თქვენს მეუღლეს და თქვენ ხმას არ იღებთ".

ბევრი ვიცინეთ.

ცხადი იყო, ინსპექტორმა გასინჯა, ღვინის სუნი ხომ არ უდისო შოფერს.

მე არასოდეს არა ვწერ დღიურებს, რადგან ვენდობი ჩემს მეხსიერებას. მირანდა ყოველ საღამოს წერს დღიურს ახალი შემთხვევებისა და განცდების შესახებ (და მე ვისარგებლე მის მიერ ჩანაწერი დღიურებითაც).

დრო ისეთი მუხანათი რამეა, თვით აინშტაინი ვერ აღნუსხავს მოგზაურის ყოველ განცდასა და დაკვირვებას.

მე ბლომად ვსვი იმ ღამეს რაინული ღვინო, ვიმღერე კიდევაც ქართულად; მირანდას არ მოსწონს ჩემი სიმღერა, მაგრამ მასპინძლებმა ფრიად მოილხინეს.

ვწევარ, ძილვფხიზლობ და კვლავ ძველი ბერლინის ამბებსა და ჩემს სიჭაბუკეს ვიგონებ.

ყოველ ჩემს პროფესორს ვიგონებ, ჩემს ამხანაგებს, ბერლინური მუზეუმების ყოველი ექსპონატი თვალწინ მიდგას.

მე ათასჯერ ვეკითხები ჩემს თავს: რა იქნებოდა ადამიანი, ის რასაც მეხსიერება ეწოდება, არ მიენიჭებინა ჩვენთვის არსთაგამრიგეს?

(გაგრძელება იქნება)

* გაგრძელება. იხ. „დროშა", № 6.



## მიწა დაიძრა მთებიდან

„სოფელ ზემო ყვიბისის თავზე, ბერის საყდართან „საქმიანმა პირებმა" სანძლეოზე მოჭრეს ნაძვის ხე, რომ გაეგოთ, თუ რამდენი მასალა გამოვიდოდა მისგან.

აღნიშნული ხე აღმოჩნდა 1 მეტრი და 40 სანტიმეტრი სიგანისა, სიმაღლე ჰქონდა 42 მეტრი, მასალა გამოვიდა 25 კუბური მეტრი. ამრიგად, მოჭრილი იყო ხე, რომლის დასახერხად საქართველოში ხერხი არ აღმოჩნდა, იგი საგანგებოდ მივლინებულმა პირმა ბაქოდან მოიტანა. არსებული ცნობით, ამ ზომის ხე ბორჯომის ტყეში აღარ მოიპოვება".

თავის წიგნში „მიწა დაიძრა მთებიდან" ალ. კვალიაშვილს მრავალი ასეთი ფაქტი მოჰყავს. ავტორი მკაცრად ჰკიცხავს იმ ადამიანებს, რომლებიც არ უფრთხილდებიან ჩვენს უძვირფასეს საგანძურს, ჩვენს ფლორასა და ფაუნას. წიგნში წამოჭრილი საკითხები ფრიად დროული და საჭირბოროტოა. ავტორი მარჯვედ იყენებს ბუნების დიდი მესაიდუმლის, ვაჟა-ფშაველას ბრძნულ დაკვირვებებს ცხოველთა და მცენარეთა სამყაროზე. წიგნში მოყვანილია ვაჟას ლექსები, სადაც პირდაპირ დასახულია გზა, თუ როგორ უნდა მოვეპყროთ და თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდეთ ჩვენს მიწაწყალს.

საინტერესოა ისიც, რომ ავტორი თავის წიგნში მრავალ საგულისხმო პრაქტიკულ წინადადებას აყენებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს ბუნების დაცვის საქმეს. ასე, მაგალითად, იგი წერს:

„თბილისის ქუჩების გამწვანება უნუგეშო მდგომარეობაშია. უვარგისი, დაბრეცილი და დაკოჟრებული ხეები ელექტრონის ქსელშია შეჭრილი, რაც ხშირად იწვევს აღნიშნული ქსელის დაზიანებას. დაინტერესებული დაწესებულებები, რომ აღადგინონ ტელეფონისა და ელექტროდენის მუშაობა, იძულებული არიან, დაუყოვნებლივ აჭრამონ ტოტების მოჭრა. ასევე ქუჩისაკენ მოქცეული ბინების ზოგიერთ მობინადრეს უხდება ან დიდი წვალებით მიღებული ნებართვით ან უჩუმრად მოაშორონ ხეს ის უწესოდ გაფარჩხული ტოტები, რაც მათ თვალში ეჩხირება და ოთახს უბნელებს.

გამწვანება დიდ საქმედაა აღიარებული, ამას ვერავინ უარყოფს, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ გამწვანებამ არ უნდა დააზიანოს და შეაფერხოს აღნიშნული ქსელის მუშაობა. ეს საზიანო მოვლენა გამწვანების მესვეურთა დაუდევრობით არის გამოწვეული. ასე რომ არ იყოს, მაშინ შორიდან გულგრილად არ დაუწყებდნენ ცქერას ნაამაგარი, დარგული, ნახარები ხეების დასახიჩრებას და თავის დროზე უმტკივნეულოდ ჩაატარებენ საჭირო სამუშაოს. გამოდის, რომ ოღონდაც კი დარგონ და მერე რა ბედი ეწევა ამ საბრალო ხეებს, ამაზე ნაკლებ ზრუნავენ.

ქალაქის გამწვანება უნდა იყოს სასარგებლო და ლაზათიანი. ამისათვის, პირველ რიგში, ქუჩებში დარგული ხეების სიმაღლე არ უნდა ასცდეს პირველი სართულის ფანჯარას, ე. ი. სამ მეტრს. მოვლის წესით ხე უნდა იკრიჭებოდეს ისე, რომ მას ბურთის შესახედაობა ჰქონდეს. ქუჩაში უნდა ირგვებოდეს სხვადასხვა სახის, პირველ რიგში, ადგილობრივი მცენარეულობა".

ავტორი, ეხება რა ფრინველთა სამყაროს, აღნიშნავს:

„ტყისა და სოფლის მეურნეობისათვის სასარგებლო წვრილი ფრინველი დაცული უნდა იქნეს ყველა არსებული ხელშემწყობი პირობებით ტყეებში: ბორჯომ-ბაკურიანში, საირმეში, აბასთუმანში, აჭარის ნაკრძალსა და სხვ. საჭიროა ჩვენში დაწესდეს „ფრინველის დღე", როცა მოსწავლე ახალგაზრდობა ტყესა და ბაღ-ბოსტნებში მოაწყობს ხელოვნურ ბუდეებს. სატყეო მეურნეობა ყოველმხრივ დაიცავს ფუღუროიან ხეებსა და ბუჩქნარს, სადაც ნაშენობს და მრავლდება მივიწყებული მწერიჭამია ფრინველი".

მართლაც კარგი აზრია. „ფრინველის დღის" დაწესება არა მარტო კარგი სამეურნეო ღონისძიება იქნება, იგი დაეხმარება ჩვენს მოზარდ თაობას უფრო ღრმად შეისწავლოს სამშობლოს ბუნება, დაეხმარება მისი ცოდნის დონის ამაღლებას.

ჩვენი პარტია და მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ საქართველოს ბუნების დაცვისათვის. ამ ზრუნვამ უკვე მოიტანა თავისი კეთილი ნაყოფი — ბევრ ადგილას ხელახლა გაშენდა ტყეები, მომრავლდა სასარგებლო ნადირ-ფრინველი. ყოველი საბჭოთა მოქალაქის ვალია ხელი შეუწყოს ამ დიდ პატრიოტულ საქმეს. ალ. კვალიაშვილის წიგნიც სწორედ აქეთ მოუწოდებს მკითხველს.

თ. ჩიგოგიძე



# ტრაგიკული პათოსის მსახიობი

გიორგი დავითაშვილი! — ამ უნიჭიერესი მსახიობის სახელი თანამედროვე მაყურებლის მეხსიერებამ სათუთად შემოინახა. გავა წლები და საბჭოთა სცენის კეთილშობილი რაინდის ხსოვნა მეტი დიდებით შეიმოსება და მისი შემოქმედება უფრო დიდად დაფასდება. ნახევარსაუკუნოვანი სიცოცხლე სცენაზე გიორგი დავითაშვილმა ადამიანის სიყვარულს მოახმარა და ადამიანებმაც სამაგიერო სიყვარული მიუზღეს. ადამიანის სიყვარული პირველადი წყარო იყო მისი შემოქმედების იმ შინაგანი პოეზიისა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მომხიბლავ მშვენიერებად რომ იფრქვეოდა სცენიდან.

გიორგი დავითაშვილი მკვეთრად გამორჩეული კოლორიტული პიროვნება იყო. შეუძლებელია შეხვედროდით მას და გულგრილად გვერდი აგევლოთ, ყურადღება არ მიგექციათ, თვალი არ გაგეყოლებინათ. ეს ლამაზი, წარმოსადეგი მამაკაცი დინჯად მიაბიჯებდა რუსთაველის პროსპექტზე, თავი ოდნავ მაღლა აეწია და სივრცეს გაჰყურებდა, თითქოს ოცნებაში წასული რაღაც შორეთს სჭვრეტდა. ამ დროს იგი, ერთი შეხედვით, ფიქრებით დამძიმებულ ბრძენ მოაზროვნეს უფრო ჰგავდა, ვიდრე მსახიობს, რომელსაც თეატრიდან გმირის ორეული ასდევნებოდა და შინ მისვლამდე მოსვენებას არ აძლევდა.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით გეჩვენებოდათ ასეთად. ამ მშვიდსა და დარბაისელ ადამიანში ადვილად შეამჩნევდით დაუცხრომლად მაძიებელი შემოქმედის შინაგან მღელვარებას. შინ დასასვენებლად მიდიოდა, მაგრამ კვლავ იმაზე ფიქრობდა, რამაც მისი სული სცენაზე ააფორიაქა. სცენური სახე წინ აჩრდილივით მიუძღვოდა. მსახიობი მას რაღაცას ედავებოდა, რაღაცას უწყრებოდა, ახალ დეტალებს ეძებდა. მივიდოდა შინ და კვლავ გრძელდებოდა აშლილ ფიქრებთან ჭიდილი.

ან კი როგორ შეიძლება შემოქმედის სიმშვიდეზე ლაპარაკი! იგი მუდმივ ძიებაში იყო, — პოულობდა და უარყოფდა, უარყოფდა და პოულობდა, ვიდრე სასურველს მიაღწევდა; შვებას მხოლოდ მაშინ იგრძნობდა, როცა სახეს დახვეწდა და სრულქმნიდა.

აი ამ დროს უნდა გენახათ იგი... დილით, შინიდან თეატრისაკენ რომ მოდიოდა, მის სახეს კმაყოფილების სხივი ეფინა და პენსნეს მიღმა თვალები ოდნავ ულიმოდა. განსაკუთრებულ სიხარულს ვერ შეამჩნევდით, მაგრამ მაშინვე იგრძნობდით, რომ გუშინდელი „მეოცნებე ფილოსოფოსი" დღეს მიწაზე დარბაისლურად დააბიჯებდა.

გიორგი დავითაშვილი მარტო მშვენიერი გარეგნობით კი არა, სულიერი სილამაზითაც გამოირჩეოდა. დიდსაც და პატარასაც ერთნაირად ფაქიზად ექცეოდა, მეგობარს უფრთხილდებოდა, არავის აწყენინებდა. შემოქმედებითი მუშაობის დროსაც იშვიათად სათუთი პარტნიორი იყო, იცოდა ოდნავ წყენასაც შეეძლო მსახიობისათვის დიდი ვნება მიეყენებინა, ფორმიდან ამოეგდო, განწყობილება გაეფუჭებინა. სცენაზე მსახიობი, — უთქვამს ხშირად, — გარშე ფიქრებისაგან თავისუფალი უნდა გავიდესო.

თეატრში არასოდეს დაიგვიანებდა, გარეთ საწყენიც რომ შეხვედროდა კულისებში სახეგაბადრული შევიდოდა, ყველას ღიმილით მიმოავლებდა თვალს და თავაზიანად მიესალმებოდა. იგი ჭეშმარიტად თანამედროვე მსახიობი იყო, კოლექტივიზმის დიდი გრძნობა ჰქონდა, ამხანაგებს არასოდეს გამოეთიშებოდა, ყველა თაობის მსახიობთან საერთო ენას ადვილად პოულობდა, გამორჩევა და განსხვავება არ იცოდა; განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა ახალგაზრდების შემოქმედებისადმი, უყვარდა ისინი და გულწრფელად ხარობდა მათი წარმატებებით.

თეატრი გიორგი დავითაშვილის სულისა და ხორცის ორგანული ნაწილი იყო, ყველაფერი, რაც გააჩნდა, რის გაღებაც შეეძლო, თეატრს მისცა. ბოლოს, როცა პენსიაზე გავიდა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მთელი სხეული დაუცარიელდა. ამ მძიმე განცდას, თურმე, იმით იმსუბუქებდა, რომ ძველებურად თავის დროზე მიდიოდა თეატრში და შინ რეპეტიციების დამთავრების შემდეგ ბრუნდებოდა.

ერთხელ თეატრზე საუბრის დროს გვითხრა: ერთი სიცოცხლე მსახიობისათვის ცოტაა, რომ, რისი გაკეთებაც სურს, შეძლოს. მსახიობის ხელოვნება რთული ფენომენია, ის დროის შესაბამისად ვითარდება; რაც გინდა ნიჭიერი იყოთ, თუ ძველი ხერხებით, გამოსახვის ძველი საშუალებებით სარგებლობთ, ღირსშესანიშნავს ვერაფერს შექმნით.

ეს მსახიობის მხოლოდ თეორიული მოსაზრება როდი იყო. იგი ცდილობდა სასცენო ხელოვნების განვითარებას არ ჩამორჩენოდა, მუდამ რაც შეიძლება ახალი და საინტერესო ყოფილიყო.

მე იგი, როგორც მსახიობი, ძალიან მიყვარდა. მას იშვიათი სცენური მომხიბლაობა ჰქონდა. ჩინებული გარეგნობა და არტისტული ოსტატობა ორგანულად ერწყმოდა ერთმანეთს და იშვიათ სილამაზეს ქმნიდა. ხავერდნარევი ხმა ყურს საამოდ ჩაესმოდა. რიტმული პაუზა, რომელიც ფრაზის წარმოთქმას წინ უსწრებდა, და შემდეგ ფრაზის მოკვეთილი დამთავრება თავისებურ საამო ჟღერად ინტონაციას ქმნიდა. ისეთი შთაბეჭდილება გექმნებოდათ, თითქოს სიტყვის დამთავრების შემდეგაც ზარის შორეული გუგუნივით კვლავ ჩაგესმოდათ მსახიობის ხმა.

ის იყო ჭკვიანი და მეტად ფაქიზი ხელოვანი. მუდამ თვალში გეცემოდათ, ამ სიტყვის კარგი გაგებით, მისი ყველასაგან განსხვავებული ელეგანტობა; ცხოვრებაშიც გემოვნებით იცვამდა და სცენაზეც ტანსაცმელი მშვენივრად ჰქონდა მორგებული. ჟესტს, მოძრაობას ზუსტად აწონ-დაწონიდა, წინასწარ გაიაზრებდა, დახვეწდა. იმპროვიზაცია სძულდა, ის ჭეშმარიტი ხელოვნების მტრად მიაჩნდა. ოსტატობას გონებისა და შრომის სინთეზად თვლიდა.

გიორგი დავითაშვილს გარდასახვის დიდი ძალა ჰქონდა, სახეს შთაგონებით ათბობდა და პოეტურად ამაღლებდა. რა როლიც უნდა დაეკისრებინათ, თუგინდ ისეთიც, რომელიც, შეიძლებოდა, არც თუ ძალიან მოსწონდა, თანდათან შეიყვარებდა, დეტალურად გაიაზრებდა, თავისად აქცევდა და სულს ჩაუდგამდა, — სცენაზე მთლიანად გარდაისახებოდა, გმირის ცხოვრებით ცხოვრობდა.

მსახიობის პალიტრა შეუზღუდველი იყო. ტრაგიკული პათოსის ხელოვანი ზედმიწევნით ბუნებრიობასა და დამაჯერებლობას აღწევდა სასიყვარულო გატაცებისა და დრამატული განცდების დროსაც. ტრაგედიებში კი მისი აქტიორული ნიჭი ნამდვილ ზენიტს აღწევდა, ამ შემთხვევაში იგი იშვიათად ძლიერი იყო.

თამაშობდა შინაგანი რწმენითა და აღმაფრენით; როგორადაც ტრაგიკულად დამძიმებული უნდა ყოფილიყო მისი გმირის თავგადასავალი, მაყურებელს ადამიანის ძალისადმი რწმენით განაწყობდა. ამავე დროს, ეს სახეები, თავისი მასშტაბურობის მიუხედავად, არ ჰკარგავდნენ პოეტურ სიმსუბუქესა და ჰაეროვნებას.

საკმარისია გავიხსენოთ გიორგი დავითაშვილის თუნდაც მხოლოდ ლევან ხიმშიაშვილი, ანზორი, გელახსანი, ჰამლეტი, ფრანც მოორი, პლატონ კრეჩეტი, გარსია ლორკა, ნეზნამოვი, ოთარ-ბეგი, ონისე, მინდია და სხვა, რომ ნათელი გახდეს ის განსაკუთრებული როლი, რომელიც მსახიობმა ქართული სასცენო ხელოვნების აღმავლობის საქმეში შეასრულა. ბევრი ამ სახეთაგანი საეტაპო მნიშვნელობისა იყო.

გიორგი დავითაშვილმა ქართულ სცენაზე პირველი გამოჩენისთანავე მოინადირა მაყურებლის გული, ჭეშმარიტი ეროვნული განცდებით აღაგზნო და შთააგონა იგი. ლევან ხიმშიაშვილი იყო პირველი როლი, რომელიც მან ქართულ სცენაზე შეასრულა. მისი ხიმშიაშვილი ნამდვილად განუმეორებელი იყო თავისი ოსტატობითა და წარმოსახვის მშვენიერებით.

ვალერიან გუნიას ოთარ-ბეგის შემდეგ გიორგი დავითაშვილის ოთარ-ბეგი შეუდარებელი და განუმეორებელი აღმოჩნდა. ამ ხასიათის უფრო სრული განცდა მაყურებელს არც კი წარმოედგინა. შინაგანად რთული, ფსიქოლოგიური ხლართებით აღსავსე, გაორებული და ტრაგიკული პიროვნება გიორგი დავითაშვილის შესრულებით არც ერთ წუთს არა ჰკარგავდა სიმართლის შთამბეჭდავ ძალას. ასეთივე მძაფრი და ამაღელვებელი იყო გელახსანი, რომელიც საუკუნეებით განმტკიცებულ ბნელეთს, მოძველებულ ტრადიციებს შეერკინა და თავისი სიკვდილით გზა გაუკაფა პროგრესს. მისი მინდია და ონისე გხიბლავდათ განცდების სიღრმითა და პოეტურობით, თამაშის იშვიათი სილაღითა და მოძრაობის გრაციულობით.

ახლაც თვალწინ მიდგას დავითაშვილის სევდიანი და ტანჯული ჰამლეტი. განსაკუთრებით სრულყოფილი და მკვეთრად თავისუფალი იყო ის მარჯანიშვილის სპექტაკლში, როცა უშანგი ჩხეიძის პარალელურად ასრულებდა ამ როლს. თუ ჩხეიძის შესრულებაში ახლად აფეთქებული ტალანტი ზეიმობდა, დავითაშვილის ჰამლეტში გამოცდილი მსახიობის ოსტატობა აღწევდა ზენიტს. ორივე დიდი, უზადო და განუმეორებელი იყო.

პლატონ კრეჩეტის და გარსია ლორკას შესრულებაში მან სიახლის განცდის დიდი უნარი გვიჩვენა, აქ ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ შეეძლო მსახიობს მუდმივად განეახლებინა გამოსახვის საშუალებანი და ზედმიწევნით შესატყვისი პირველადი ფერები ეპოვა.

ჯერაც ვერ გამოვსულვარ იმ უზარმაზარი შთაბეჭდილების ტყვეობიდან, რომელიც მან ნეზნამოვით მოახდინა ჩემზე. ეს ნამდვილად აღემატებოდა სცენურ გარდასახვას. ჩვენ წინ იდგა ცოცხალი ადამიანი, რომლის რთულსა და მძიმე განცდებს პარტერიდან უშუალოდ აღვიქვამდით, თანავუგრძნობდით გმირს და მასთან ერთად ვიტანჯებოდით, ვიტანჯებოდით, მაგრამ ეს ტანჯვა ჩვენთვის უდიდესი სიამოვნება იყო, რადგან ხელოვნების ნამდვილ შედევრს ვუყურებდით. განსაკუთრებით ძლიერი იყო დედასთან (ნუცა ჩხეიძე) შეხვედრისას, როცა იგი მას შეიცნობდა; მეტყველებდა მსახიობის მთელი არსება. მსახიობის ხმასთან ერთად მთელი მისი სხეული, ყოველი მისი კუნთი თრთოდა. დიდი უშუალობით, იშვიათი დამაჯერებლობით გვაგრძნობინებდა გმირის განცდის სიმძიმეს, მაგრამ, იმავე დროს, სულში ადამიანის ძალისადმი რწმენის საამო ნექტარს გვაწვეთებდა და ამით საკუთარ განცდებს გვიმსუბუქებდა.

აი ასეთი მართალი მსახიობი იყო გიორგი დავითაშვილი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ წავიდა ჩვენგან მშობლიური სცენის წინაშე, ხალხის წინაშე პატიოსნად ვალმოხდილი.

წელს მას დაბადების 75 წელი შეუსრულდა.

ერემია ქარელიშვილი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. იაკოვენკო. რევოლუციის დღეები.

# საიუბილეო გამოფენა



ჯ. ხუციშვილი
პაპის იმედი.



არაგვის ხეობაში, იმ ადგილას, სადაც ოდესღაც გოგოთური და აფშინა შეხვდნენ ერთიმეორეს, ახლა კარვების ქალაქია გაშლილი. ხეზე მიკრული წარწერა აცაუწყებს:

„მეგობრებო! ეს ადგილი თბილისის ბავშვთა ლაბორატორიის თანამშრომლებს ეკუთვნით ყოველი შაბათის დილის 8 საათიდან კვირის 20 საათამდე. გასართობად და დასასვენებლად გთხოვთ თქვენ სხვა ადგილი შეარჩიოთ".

გულშემატკივრები აღტაცებულნი არიან. „მოაგარაკეთა გუნდმა" ჰესამე ბურთი გაიტანა „მექთაბორეების ნაკრების" კარში (ასე ეწოდებათ ამ გუნდებს).



გეოლოგ ნ[illegible] შათირიშვილის (მარცხნიდან პირველი) საველე კოსმეტიკური კაბინეტი [illegible]გვის ხეობაში

# [illegible]

ფოტო ოთარ თურქიასი.





მთელ საარაგვოზე არ მოიძებნება უკეთესი მეთევზე, ვიდრე ტექნიკოსი თემო გუდკოვი. ბადის პირველსავე სროლაზე მან არაგვიდან უზარმაზარი ჩაიდანი ამოათრია.

მოაგარაკეებს აქ პარტო პარიკმახერი კი არა, ფოკუსების ოსტატები და ილუზიონისტებიც ჰყავთ.



თბილისში არავინ არ იცოდა, რომ გეოლოგიური პარტიის უფროსი არკადი ძიგრაშვილი არის საუკეთესო შეფ-მზარეული, ბუღლამის, ჩახოხბილისა და ჩაქაფულის ებადლო ოსტატი.



არკადის ერთგულად უდგანან მხარში ბასტურმისა და მწვადის სპეციალისტები, პირის გემოს პატრონები.



ეროვნული ბიბლიოთეკა



გ. თოიძე. გაზაფხული სიღნაღში.

ვ. ნებიერიძე. ჭიშკარი.



# გამოფენა

მ. ხვიტია. ნატურმორტი.



# ძმათა დავნატრი ბევრათა

ქართულ ხალხურ პროზაულ მასალებში და პოეტურ ფოლკლორში ძმათა ურთიერთობის თემას მუდამ მეტად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ამ საკითხის შესწავლა ჩვენს წინაშე გამოავლენს მრავალ საინტერესო დეტალს, რომელნიც დაგვეხმარებიან უფრო ღრმად შევისწავლოთ ჩვენი ხალხის ყოფა, საოჯახო ეთიკის ნორმები, ფსიქოლოგია, მისი ზნეობრივი სამყარო; ქართული ფოლკლორი ამ მხრივ დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს ისტორიულ მეცნიერებასაც და მწერლობასაც, ვინაიდან ის არის სარკე ჩვენი ერის სულიერი ცხოვრებისა.

ასე, მაგალითად, ფოლკლორული ძეგლები გვაცნობენ მრავალ დამახასიათებელ ნიშან-თვისებას ტრადიციული პატრიარქალური დიდი ოჯახისა, სადაც მრავალწევრიანობა მარტო სულიერი სიახლოვის, ერთად ცხოვრების ეთიკური ნორმებით კი არ აიხსნებოდა, არამედ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახის ეკონომიური პოტენციალისათვის.

აკად. ა. შანიძემ თავის „ქართულ ხალხურ პოეზიაში“ გამოაქვეყნა ლექსი, რომელშიც ნათქვამია:

ან უნდა ძმასა ძმა ხყვანდეს,
ან კაი შვილი მამასა,
ან უნდა ბიძას ძმისწული,
ისიც მაუხნავს ყანასა.

მეორე ხალხურ ლექსში, რომელიც თ. რაზიკაშვილს ფშავში ჩაუწერია, ძმა ძმის გაჭირვების ტალკვესად, საიმედო მხარდამჭერად, სიმაგრედ და ბურჯადაა სახელდებული:

ბიჭო, ძმითა ხარ მაგარი, თორ მტერი მოგერეოდა.
აგმტერდებოდა სოფელი, სალამი დაგელეოდა.

ამიტომაა, რომ ძმებმოკლული ამირანი თავს იკლავს:

ორსა ფრინველსა მხარგრძელსა ალგეთს მინდორი დაექნა,
უძმოსა, უმამიძმოსა ამირანს თავი მაეკლა.

ზ. ბილანიშვილის მიერ ს. პატარძეულში 1883-1887 წლებს შორის ჩაწერილ ნიმუშში, რომელიც ძმის მიერ ძმისადმი მიძღვნილ ლექსს წარმოადგენს, უფრო კონკრეტულად, უფრო ფართო მასშტაბითაა მოცემული თ. რაზიკაშვილისეული ჩანაწერის პირველ სტრიქონში გამოთქმული აზრი:

ძმაო, რაი სჯობს ძმობასა,
ერთმანეთისა ყმობასა,
ერთმანეთ ველარ ვიცანით,
დახე ჩვენს უგონობასა.
ძმა მაშინ მოგაგონდება
შვიდნი რომ გცემდნენ მარტოსა,
მაშველებელი არ იყოს,
ეფარებოდე ფლატოსა.

ამ ლექსის მოკლე, ერთსტროფიანი ვარიანტი პირველად ი. ჭავჭავაძეს ჩაუწერია 1871 წელს და გამოუქვეყნებია „კრებულის“ 1878 წლის მესამე ნომერში მის მიერ შეკრებილ ხალხური პოეზიის იმ ნიმუშებს შორის, რომლებისათვისაც მას „გლეხურ სიმღერების“ საერთო სახელწოდება მიუცია. ი. ჭავჭავაძისეული ჩანაწერით იგი შესულია პ. უმიკაშვილის ხალხურ სიტყვიერების კრებულში.

ეს ლექსი შეიცავს როგორც სიტყვიერ, ისე მუსიკალურ ტექსტს; იგი ნოტებზე აქვს გადაღებული ია კარგარეთელს.

ძმათა ურთიერთ მხარდაჭერისა და გამოქომაგების ეპიზოდები არაერთგზის აისახა როგორც ზეპირშემოქმედების მასალებში, ისე მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ხალხური ადათობრივი სამართლის ნორმებში მოქმედი სისხლის აღების ტრადიციული წესიც, რომელიც საქართველოს ცალკეულ კუთხეებში იყო გავრცელებული.

ერთ ქართულ ხალხურ ბალადაში გადმოცემულია მწყემსი ძმების გიგასა და გიორგის ყაჩაღებთან შეტაკებისა და ტრაგიკული დაღუპვის ამბავი. ძმები შეუპოვრად ებრძვიან ცხვრის გამტაცებლებს, რამდენიმე მომხდურიც გამოასალმეს წუთისოფელს, მაგრამ მალე

გიორგის გიგა მოუკლეს,
მოსწყვიტეს საწყალს მხარია.

გიორგიმ მტერს არ შეარჩინა და ძმის სისხლი აიღო:

შვიდი შასწირა გიგასა:
— იყავით მაგის ყმანია,
იმ გრძელსა გზასა გაჰყევით,
ლიტრით უზიდეთ წყალია.

ხალხური მთქმელი მთელი გატაცებით უმღერის ძმათა მრავლობას, მათს ურთიერთ ერთგულებას:

ძმათა დავნატრი ბევრათა,
— მზე ცხრაკნით ამუხდებისა,
ორგული, მტერი, დუშმანი
წინ ვერვინ დაუხვდებისა.

„მზე ცხრაკნით ამუხდებისა“ — ეს საუცხოო ფრთიანი პოეტური ფრაზაა, რომელიც ხალხური მთქმელის თამამ მხატვრულ ფანტაზიაზე მეტყველებს.

ძმების ურთიერთობის ერთ-ერთ არსებით მხარეს წარმოადგენს ძმების გაყრა, რასაც ისტორიულად განსაკუთრებით მკვეთრი ხასიათი მიეცა ინდივიდუალური ოჯახის ფარგლებში, ხოლო რაც შეეხება ოჯახის უფრო ძველ და სპეციფიკურ ფორმას, საოჯახო თემს, მისთვის ნიშანდობლივი იყო ძმათა გაუყრელობის პრინციპი. „როგორც ეთნოგრაფიული მასალებით, ისე წერილობითი წყაროებით საქართველოში ინდივიდუალურ ოჯახთან ერთად დგინდება საოჯახო თემის გადმონაშთებიც. ეკონომიური საფუძვლებით განმტკიცებული ძმათა გაუყრელობის პრინციპი ხელს უწყობდა ოჯახების მრავალრიცხოვნობის შენარჩუნებას, რაც შემდეგი ხნისათვის მატერიალური დოვლათის ფაქტორადაც იქცა“, — წერენ რ. ხარაძე და ალ. რობაქიძე მონოგრაფიულ ნაშრომში „მთიულეთის სოფელი ძველად“. ამრიგად, ძმათა გაუყრელობის პრინციპი, რომელიც იყო „თემის დამახასიათებელი თავისებურება“, შემდგომში ინდივიდუალური ოჯახის დროს დღის წესრიგიდან მოიხსნა და გაყრის პროცედურა გარკვეული ასაკის და მდგომარეობის ძმებისათვის ჩვეულებრივ ყოფაცხოვრებით მომენტად იქცა. ოჯახის გაყრის დროს მართალია მაიორატს (უფროსი ვაჟის ხელში მთელი უძრავი ქონების გადასვლას) საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არ ვხვდებით, მაგრამ ოჯახის გაყოფის დროს უფროს ძმას განსაკუთრებული წილი, ე. წ. საუფროსო მაინც ეძლეოდა, მაგალითად, ხევსურეთში — ზედმეტი ერთი დღიური მიწა, ფშავში ერთი თუმანი, ან „ცხენი, ან ხარი, ან ოცი ცხვარი“, სვანეთში საუფროსო (ნამხვეშიერ) ერთი დღიური ყანით განისაზღვრებოდა და ა. შ.

ზ. ბილანიშვილის მიერ ს. პატარძეულში ჩაწერილი ხალხური ლექსი ძმების გაყრას უარყოფით მოვლენად სთვლის. ხალხური ავტორი ჰკიცხავს ინდივიდუალისტური სენით შეპყრობილ კაცს, რომელსაც თავის ძმასთანაც კი ვერ გაუძლია:

ზოგიერთი წუწკი კაცი
ცოლით გაეყრება ძმასა,
წავა და გომში დადგება,
გვერდზე გამოუღებს კარსა,
ძმა მაშინ მოაგონდება,
როცა წავა ყანის მკასა,
თითონ წყალზე გაიქცევა,
ხელეური მიაქვს ქარსა.

ასეთივე აზრია გამოთქმული თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ლექსში:

ძმა რომ გაეყრება ძმასა,
ველარ დასდგამს დიდსა ძნასა,
ველარც ბევრსა იმუშავებს,
ველარც მეეწევა სხვასა.

ქართული ხალხური საყოფაცხოვრებო ლირიკა ძმებს შორის ურთიერთობას მკაფიო რეალისტური დეტალებით ასახავს და წარმოგვიდგენს. ხალხური ავტორები ხოტბა-დიდებით ამკობენ ერთგულ ძმებს, ვინაიდან აქედან იწყება სიყვარული ახლობლისადმი, აქედან იწყება სიყვარული მეზობლისადმი, ყველა ადამიანისადმი, რა ერსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. ხალხის გული მუდამ მართალი და უშუალოა და სიყვარულის შუქი, ამომდინარე ამ გულიდან, ეფინება მთელ სამყაროს.

გიორგი შეთეკაური

I

დღის ხუთი საათი იყო. გარეთ სწრაფად ბნელდებოდა. ჯერ კიდევ თოვდა, მაგრამ ტემპერატურა ნულზე მაღალი იყო და თოვლი ფეხს ვერ იკიდებდა ასფალტზე. მოდიოდნენ ფიფქები, წყლითა და ტალახით ავსებდნენ ქუჩებს. ქვევით ტაქსი გაჩერდა, ვიღაც ჩასუქებული ქალი გადმოვიდა და გადმოსვა პატარა ბიჭი, რომელსაც ყურებიანი ქუდი ეხურა. ქალი და ბიჭი მოპირდაპირე სახლის კარში შევიდნენ. პაატა სარკმლიდან უყურებდა ქუჩას, ტალახს და მანქანას. მანქანა მალე დაიძრა. პაატამ შეხედა ნახევრად ჩაბნელებულ, ღრუბლებით დაფარულ ცას და ოთახში შუქი აანთო. საათს შეხედა, „კიდევ თხუთმეტ წუთს მოვიცდი“, — გაიფიქრა. თხუთმეტი წუთი გავიდა. გარეთ ისევ თოვდა. ის კი სკამზე იჯდა და რადიოს მისჩერებოდა.

„იდიოტი ვარ“, — ხმამაღლა წარმოთქვა პაატამ. ცარიელ ოთახში რაღაც საკვირველად მოესმა საკუთარი ხმა. მიმოიხედა და ისევ თქვა — „ხმამაღლა ვფიქრებ, ეგებ გული გადავაყოლო“, მაგრამ მაშინვე მოსწყინდა ეს გართობა და რადიო ჩართო. მუსიკის დაჭერა სცადა, მაგრამ ყველაფერს სწრაფი არაბული ლაპარაკი ფარავდა. ის სხვა ტალღაზე გადავიდა და რაღაცას მიაგნო. რადიო ხრიალებდა. ისევ სკამზე დაჯდა და ტაქტსააყოლა ფეხი. ტაქტი მალე დაეკარგა. თავი ჩამოხდო სკამის მისაყრდნობზე, მაგრამ უხერხულად დაჰკრა ნიკაპი, ადგა და სარკმელს მიუახლოვდა. ვიღაცამ გაიარა, წყლის გუბეებს ზემოდან სახაცილოდ ახტებოდა. ქუჩის ნათურები აინთო. პაატამ საათს შეხედა: ექვსის ოცდახუთი წუთი იყო. „რა ადრე ბნელდება“, — გაიფიქრა და გამვლელებს თვლა დაუწყო.

პაატამ კვლავ სცადა კარგი მუსიკის დაჭერა, ცუდად ისმოდა; „მოვიცდი კიდევ ათ წუთს“, — გაიფიქრა, თუმცა გრძნობდა, რომ უფრო დიდხანსაც მოიცდიდა. „არა, მხოლოდ ათ წუთს მოვიცდი“, — მას უკვე თითქმის დაეკარგა იმედი, მაგრამ ცდილობდა საკუთარი თავის წინაშე მტკიცე ნებისყოფა და გულცივობა გამოეჩინა; „გარეთ საზიზღრად თოვს“, — თქვა მან თავისთვის. — „ალბათ აღარ მოვა“. უკვე ექვსი საათი იყო. გადაცემა დამთავრდა. პაატამ ერთხანს ატრიალა რადიოს სახელური და ბოლოს სულაც გამორთო.

სიცივისა და შიმშილის უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა. მაგიდაზე თეფში იდო, თეფშზე—სამი მანდარინი და ორი ფორთოხალი. „მანდარინი მეტი უნდა მეყიდა“, — გაიფიქრა და ერთი ცალი აიღო, მაგრამ მერე გაახსენდა, რომ იმას მანდარინი უყვარს, უკანვე დასდო და ფორთოხალი გაჭრა. ფორთოხალი პატარა იყო და მჟავე გამოდგა.

შვიდის ნახევარზე მან საბოლოოდ გადაწყვიტა წასვლა, პალტო ჩაიცვა და გავიდა. კარი დაკეტა, კიბე ჩაიარა და ბნელ შესასვლელში გაჩერდა. თოვდა, იფიქრა, ქუდი ხომ არ წავიღოო, მაგრამ ზევით დაბრუნება დაეზარა. გასვლა დააპირა და სწორედ მაშინ შესასვლელში მაია შემოვიდა.

— გამარჯობა, მაია!

— გამარჯობა, — თქვა მაიამ, — აღარ მელოდი, არა? სად მიდიოდი?

— არსად, ვფიქრე ჰაერზე... უბრალოდ, შესასვლელში გელოდი. ავიდეთ ზევით.

— შენ თუ გეჩქარება, აქვე მითხარი, რა გინდოდა, მეც მალე წასვლას ვაპირებ.

— მე არსად მეჩქარება, ხუთი წუთით ამოდი. აქ ცივა.

— მართლაც ცივა, არა?

— ცივა, მაგრამ თოვლს არ დასდებს, გადნება.

პაატამ კარი გააღო და სინათლე აანთო. მაიას წამწამებზე თოვლის ფიფქები დაჰკიდებოდა.

— გაიხადე პალტო, — უთხრა პაატამ, — დღეს ღუმელი არ დამინთია, მაგრამ მაინც თბილა.

— თბილა, — დაეთანხმა მაია. სარკესთან პატარა ცხვირსახოცით წამწამებიდან მოიშორა წყლის წვეთებად ქცეული ფიფქები და მოკლედ შეჭრილი წაბლისფერი თმა შეისწორა.

— შემოდი, — სთხოვა პაატამ და წინ გაუშვა მაია. ისინი შევიდნენ იმ ოთახში, საიდანაც ერთი საათის წინ პაატა გამვლელებს თვლიდა.

— ეს შენი წერილია? — მაიამ მუჭიდან ამოიღო პატარა დაჭმუჭნული ფურცელი. პაატამ გამოართვა: „მოდი ხუთ საათზე ჩემთან. საშინლად საინტერესო ამბავს მოგიყვები. პ.“.

— შენმა ძმამ მოგცა? — იკითხა, დახია ფურცელი და ჩამქრალ კედლის ღუმელში შეაგდო. მაია სავარძელში იჯდა.

— ჰო, მხოლოდ ექვსის ნახევარზე მოვედი შინ. ჩართე მაგნიტოფონი, რამე ახალი არა გაქვს?

— ახალი არაფერი, — მიუგო პაატამ. ძველი ჩანაწერები მას ნერვებს უშლიდა, მაგრამ, მაინც რაღაცა დასდო და მაგნიტოფონის ხმას დაუწია. ყრუდ ისმოდა არმსტრონგის ხრინწიანი ხმა.

— გინდა? — იკითხა მან და თეფშზე მიუთითა.

— ერთი მომაწოდე.

პაატამ ერთი მანდარინი მიუტანა და კანისათვის საფერფლე დაუდგა იატაკზე.

— რა გინდოდა გეთქვა? მომიყევი შენი „საშინლად საინტერესო ამბავი“, — თქვა მაიამ.

„ნეტავ ადგეს“, — ინატრა პაატამ. არ მოსწონდა, რომ ის მთლად განათებული იდგა, გოგონა კი ჩრდილში იჯდა. მაია უფრო კარგად მოეწყო სავარძელში და აიბუზა:

— შენთან მართლაც ცივა.

პაატა მივიდა სარკმელთან. თოვდა. ისევ დაბრუნდა. მაია თვალს ადევნებდა.

— შენ ფიქრობ, რომ მე ვარ მეცხრამეტე საუკუნიდან მოსული ტიპი. ასეა, არა?

მაიას გაუკვირდა:

— ერთხელ გეხუმრე, არ მეგონა თუ ასე გეწყინებოდა...

— არა, არც მწყენია. პირიქით, მინდა გამოვიყენო უფლება, მოვიქცე ისე, როგორც ჩემს წარმოდგენაში იქცეოდნენ მეცხრამეტე საუკუნეში.

— როგორ იქცეოდნენ?

პაატას რაღაც ჟრჟოლამ დაუარა. თავის თავზე ბრაზობდა.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაია, ნუ მაჩქარებ, თუ არ დავფიქრდი, ბრიყვულად გამომივა.

— იფიქრე, კარგი, — მოწყალედ დართო მან ნება და გაიცინა.

— ეეე... — გააგრძელა პაატამ. მივიდა და სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა, — შეიძლება ვიჯდე?

— იჯექი.

მაგრამ ისევ ადგა და ძალდატანებული მკაფიო ხმით თქვა:

— გესმის, მე პირველად მიხდება ამის თქმა.

ის გაჩერდა და ერთგვარი შვება იგრძნო, რომ მაიამ კომენტარები არ ჩაურთო და ისევ ჩუმად შესცქეროდა თავისი თაფლისფერი თვალებით.

— გესმის, ხანდახან დავდგები საშინელ ხასიათზე. ვფიქრობ ვისთან წავიდე, ვის დავურეკო, რომ ცოტა გულზე მომეშვას. მივდივარ და ქუჩაში დავეხეტები. ხანდახან მშველის, მაგრამ მოვალ შინ და ისევ ვბრაზდები.

— რაზე?

— არ ვიცი. ალბათ, გაუბედაობაზე. მაგრამ, როცა შენ გხედავ ხოლმე, რაღაც უკეთ ვგრძნობ თავს.

პაატამ განზე გაიხედა, რომ მაიას ღიმილი არ დაენახა. მაგრამ მაიას არ გაუღიმია.

— შენ არ მოგსვლია ასეთი რამე? — ჰკითხა პაატამ და სული მოითქვა.



— მე? მგონი, არა. თუ გავბრაზდები, ალბათ, ჩემს ძმას წავეჩხუბები, ჩემს მეგობრებთან მივდივარ.

— მეგობრები, — თქვა პაატამ, — მეგობრებს ხანდახან არ ესმით ჩემი. არც მე მესმის მათი ხანდახან, — დაუმატა მან.

ერთხანს კვლავ სიჩუმე იყო. პაატა ერთ ადგილზე იდგა. ჟრჟოლამ გაუარა და სიამოვნებდა, რომ მაია ფიქრს არ უშლიდა.

— ჰოდა, დღეს იმიტომ დაგიძახე, რომ სწორედ ერთი წლის წინ შენ მოხვედი ჩემთან. ხომ ადრეც გიცნობდი, მაგრამ მაშინ თითქოს პირველად დაგინახე, შენ რაღაცა წიგნი მთხოვე. მე ფურცელზე ჩავინიშნე ის დღე. შენც გახსენდება?

მაიამ თავი დაუქნია.

— ჰოდა, მას შემდეგ სულ ველოდი შენს მოსვლას. რას არ მოვიგონებდი, რომ შენ მოსულიყავი, ან სადმე მენახე. ამ ერთი თვის წინ შენ ორჯერ მოხვედი სწორედ მაშინ, როცა მე ვაშლი შევჭამე. აი იმ ხისა, თქვენი სახლის წინ რომ დგას. ის ვაშლები შევინახე და როცა მომენატრებოდი, ვჭამდი იმ იმედით, რომ შენ მოხვიდოდი. ვაშლი გამითავდა, მაგრამ შენ არ მოხვედი. დღეს უკანასკნელიღა მქონდა, ის სულ პატარა, დამჭკნარი და მწარე იყო, რადგან ვიცოდი, რომ მოხვიდოდი და ჩემი ცრურწმენისათვის მინდოდა ხელოვნური დამტკიცება მიმეცა (მაიას გაეღიმა. პაატამაც სცადა ღიმილის მსგავსი რამ გამოეხატა სახეზე), დღეს მე არ ვბრაზობდი, უბრალოდ ძალიან მოწყენილი ვიყავი (მაიას ისევ გაეღიმა). ჰო, მე ვხვდები, რომ ბრიყვულად ვიქცევი, მაგრამ სხვანაირად მოქცევა არ შემიძლია, სულ ერთია ადრე თუ გვიან უნდა მეთქვა (პაატამ სული მოითქვა, მაია შეჰყურებდა თავისი წყნარი თვალებით და რიტმულად სუნთქავდა. პაატამ თავი გადააქნია). ახლა კი ვიტყვი, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში ამბობდნენ, როგორც ამბობდნენ ჩვენს მეოცე საუკუნემდე. ახლა საკმარისია, ერთი-ორ მეგობარს უთხრა — ეს ჩემი გოგოა — და საკუთრება დამტკიცებულად ითვლება. მეც მინდოდა ასე მოვქცეულიყავი, მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა და არც შენი იმედი მქონდა. ახლა, ყოველ შემთხვევაში, ჩემს სიბრიყვეს შენს გარდა ვერავინ გაიგებს. ხომ გესმის? ხომ იცი,

## რევაზ კანდელაკი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

რასაც ეუბნებოდნენ მსგავსი მონოლოგის შემდეგ მეცხრამეტე საუკუნეში თვრამეტი წლის გაუბედავი ყმაწვილები ჩვიდმეტი წლის გოგონებს?

პაატა გაჩუმდა. მაიამ თავი დახარა. ოდნავ გაწითლდა (თუ ეს პაატას მოეჩვენა, რომ ისიც გაწითლდა) და წამოდგა.

— მე არ ვიცოდი... და...

— ნუთუ ვერცა გრძნობდი?

— ვგრძნობდი, მაგრამ მე ხომ არ ვიქნებოდი პირველი, მე ხომ არ გეტყოდი. შენ კი ვერაფერი გაგიგე. ხანდახან ისეთი მკვახე იყავი.

— მაპატიე! გაუბედაობას ხანდახან უზრდელობით ვფარავდი, მაგრამ ახლა ხომ ხედავ, ერთი დავძლიე და მეორესაც მოვუვლი.

— არა... უზრდელი კი არა... უბრალოდ ვერ წარმომედგინა, რომ...

— ახლა ხომ დარწმუნდი, რომ ამის წარმოდგენაც შეიძლებოდა. მაპატიე, — თავი გადაიქნია პაატამ, — მგონი ისევ მკვახე გავხდი.

ის შედგა. მაიაც ჩუმად იყო. პაატა მივიდა მაიასთან, მოხვია მოუხეშავად ხელი და ლოყაზე აკოცა. მაიამაც აკოცა. პაატამ ხელი უშვა, თავი მიაბრუნა, რომ სიწითლე დაეფარა, მივიდა მაგნიტოფონთან და ჩაიბურტყუნა.

— ესეც პირველად იყო...

II

ბიბლიოთეკაში სიცარიელე იყო. რამდენიმე სტუდენტი უჯდა მაგიდას და კითხულობდა. მაღალ, ვიწრო სარკმელში ჩანდა გამჭვირვალე ცა. შორს ქარი მიერეკებოდა ღრუბლებს და აქვე ეზოში კი ფოთლებსა და ნაგავს აყრიდა გამვლელებს.

— აქ მძიმე უნდა, — თქვა ხმადაბლა ნოდარმა და ხელით ანიშნა. ის სკამის უკან იდგა და ირაკლისთან ერთად კითხულობდა. ირაკლიმ გადაფურცლა.

— მოიცა, ორი სტრიქონიც დამრჩა, — ირაკლიმ გადმოაბრუნა ფურცელი. ნოდარმა ჩაიკითხა ბოლომდე. მერე ერთად კითხვა განაგრძეს.

— მორჩით? — იკითხა დევიმ. ის მაგიდაზე იჯდა და სარკმელში იყურებოდა.

— ოთხი სტრიქონიც... მე მოვრჩი, — თქვა ირაკლიმ.

დევი არ შემობრუნებულა: — მერე?

— როდის თოვდა წელს? — იკითხა ირაკლიმ გამოცდილი კრიტიკოსის ტონით.

— თოვლსაც ნატურიდან ხომ არ გადმოვხატავდი?!

— არა, ისე ვიკითხე. რატომ... თუმცა არა, ასეთი დამთავრება სჯობია. რატომ არ მიუწერე მერე რა მოხდა? — იკითხა მან ირონიულად.

— არაფერიც არ მომხდარა. ხომ არ გგონიათ, რაიმე აღვწერე, ყველაფერი გამოგონილია, — თქვა მოღუშულმა დევიმ და ხელი გასწია რვეულისაკენ, მაგრამ ნოდარმა არ დაანება. გადაფურცლა და რაღაც წაიკითხა. ირაკლიმ ჩაიხედა რვეულში.

— ჰო, ეგ ანეგდოტი ვაშლებზე საკმაოდ საინტერესო და გულის ამაჩუყებელია, მაგრამ პრინციპში ყველაფერი სუსტია. მოთხრობის სიუჟეტია სუსტი, გესმის?!

— ჯანდაბას შენი თავი, იდიოტო, — ჩაიბუზღუნა დევიმ.

— არა, სიუჟეტი კარგია, — თქვა ნოდარმა.

ირაკლიმ გულკეთილად დაარტყა მხარზე ხელი დევის და უთხრა:

— დიდი ფანტაზია არა გქონია. მაია, რასაკვირველია, მარინეა, ხომ? როგორა ჰგავს სახელების პირველი მარცვლები ერთმანეთს. შენ პაატა ხარ. მიკვირს, როგორ ჩაიარა ასე მშვიდობიანად თქვენმა...

დევიმ ტუჩები დაგრიხა რაღაცა უცნაური ღიმილით და შეაწყვეტინა ირას:

— რას მიედ-მოედები? არაფერს არ ჩაუვლია, შენი სიტყვისა არ იყოს...

— როგორ, — ირაკლის მოეჩვენა, რომ თავში მახვილგონივრული აზრი მოუვიდა, — მაშ ეს შენი სამოქმედო გეგმაა?

ნოდარს არ გაუცინია, არც დევის. ირას ცოტა ეწყინა, მაგრამ კვლავ გულკეთილობამ გადასძალა და თქვა:

— მეც არა ვთქვი! დევის რაღაც უკისრია და ახლა აღწერს-მეთქი. ამიტომაცაა სიუჟეტი სუსტი.

ნოდარმა თავი გააქნია და ჯიუტად თქვა:

— სიუჟეტს არა უშავს რა. აი ფორმა... აქ, სხვათა შორის, მძიმე გაკლია.

— შეუჩნდა ახლა სასვენ ნიშნებს. ეგაა ფორმა, ბიჭო? — თქვა ირამ და რვეული წაართვა.

— ორივენი შტერები ხართ, — ჩაიბუზღუნა დევიმ.

ნოდარს გაეცინა.

— იცი, რას გეტყვი, აბა სცადე, ისე მოიქეცი, როგორც შენ დაწერე და მერე ვნახოთ, ვინ იქნება შტერი.

— მე ხომ არ ვამბობ, ეს ჩემზე დავწერემეთქი, — გაბრაზდა დევი (ნოდარმა და ირამ ერთმანეთს გადახედეს და გაეცინათ), — რომ იღრიჭებით, აბა ერთი თქვენ დაწერეთ!

— ეეე, რას მეჯიბრები. გეუბნები, სცადე, ეგრე მოიქეცი, ეგებ გამოდგეს, — თქვა ნოდარმა და ისევ გაეცინა.

— ისწავლე ზეპირად შენი... ბოლოში, პაატას როლი და უთხარი ერთ პიროვნებას, — ურჩია ირაკლიმ, — მაგრამ ერთიც ვნახოთ და, — ახლა ნოდარს მიმართა, — ის პიროვნება მაიასავით წყნარი არ აღმოჩნდეს და ჩვენს მეგობარს რაიმე ჩაარტყას თავში.

— სქელკანიანო მარტორქებო, — ჩაიბუზღუნა დევიმ, მაგრამ მასაც გაეღიმა, ისე ცალყბად, რომ უცებ ჩაუქრა ღიმილი.

— შენ რა, ზოოლოგიის სწავლა დაიწყე? საიდან გაიგე, რომ მარტორქას სქელი კანი აქვს? — განაგრძობდა მხიარულებას ირაკლი.

— შენ გიყურებს რამდენი ხანია, — აუხსნა ნოდარმა.

— ჩანს, მოცლილები ხართ, — თქვა დევიმ, — მე წავალ.

— ერთ წუთს მოიცა, — გააჩერა ირაკლიმ, — რა გაბრაზებს, ჩვენ რომ ვერ გაგიგეთ?

— მორჩი, — თქვა დევიმ და რვეული აიღო.

— თვითონ არ იცის, რა აბრაზებს და ჩვენ რა უნდა გავუგოთ?

დევიმ რაღაცა სინდისის ქენჯნის მაგვარი იგრძნო. გაჩერდა:

— რამე ხომ არ გეწყინათ, შეუგნებლები ხართ და რა უნდა გითხრათ!

ბიჭებს გაეცინათ:

— იცი რა, შენ მაინც სცადე, როგორმე პრაქტიკულად გამოიყენო ეს სახელმძღვანელო, ანდა ფანტაზია აამუშავე და ხვალ აქ მოიტანე. თანაც უფრო შესაძლებელი დასასრული მოუძებნე. ხომ იცი, რეალიზმია საჭირო.

— კარგი, მორჩით ახლა, — თქვა დევიმ და წავიდა.

ნოდარმა თვალი გააყოლა და როცა კარი დაიხურა, თქვა:

— მართლაც კარგი იყო, არა?

— ისე რა. მაგრამ კარგიც რომ იყოს, პირში არ უნდა შეაქო.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ამაზე უფრო ყოყლოჩინა არ გახდება და თავმდაბალი კი არც ახლაა.

— ხოო, — თქვა ირაკლიმ და პირზე ხელის დაფარებით დაამთავრა: — რაღაც მეძინება, წამო, წავიდეთ.

წამოდგა, ნოდარიც აჰყვა.

## დავით ხუროძე

### მასწავლებელი

ალუვსებელმა სიყვარულმა დაადო ლალა,
და მოაბიჯებს მთლად ჭაღარა მუხლის კანკალით,
კეთილ ზრუნვაში, ჩვენზე ჯაფით გადაიღალა,
ბევრი მოიმკო ცხოვრებაში თუმცა სამკალი.

პირველი ზარი ისევ უხმობს წინანდებურად,
და უნებურად თვალზე ცრემლის ჩნდება წერტილი,
ტკბილ ოცნებაში ბერიკაცი გარინდებულა
და სკოლისაკენ იცქირება გულდაწყვეტილი...

ყოველთვის, როცა შემომხვდება ღიმილით მარტო,
მგონია ისევ მოწაფე ვარ, ბიჭი შავთვალა,
უცებ ქუდს ვიხდი, ხალათს ვიკრავ, ვისწორებ
პალტოს
და მოკიდებულ პაპიროსს ვმალავ...

### გამზირზე

ახლა ჰაერიც დაითაფლება,
ჭადრები უხვად გაირევს ოქროს,
ნარინჯისფერში მწვანე გაქრება
და ხელგაშლილი ქარი იქროლებს.
ქვევრში კახური გახდება გიჟი,
ხანდახან ლაჟვარდს ნისლები აჭრის,
მოდი, გაუძელ ჩიტების ჟივჟივს,
მოდი, გაუძელ ცდუნებას მაჭრის...
ფოთოლი, ტოტზე ქარი რომ აცლის,
აცახცახდება — ჯერ არ გამყარო!
და მელანდება გამზირზე კაცი,
ვისაც თვალებში ედგა სამყარო...
მოდის, მგონია ცა იწევს მაღლა,
ჩანს წარუშლელი ნაფეხურები,
ვინც არ იცოდა ოცნებით დაღლა,
მისი ნაბიჯის ხმა მეყურება.
რა უცოდველი ღიმილით მიმზერს,
მიახლოვდება ღმერთკაცი თითქოს.
წუთით მზესავით აანთებს გამზირს
გალაკტიონის თვალების სითბო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი უცნობი პროექტის შესახებ

1862 წელს კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-ადიუტანტმა გრიგოლ ორბელიანმა მიიღო გადაწყვეტილება თბილისი ტელეგრაფით პეტერბურგთან დაეკავშირებინა. მან წინადადება მისცა სათანადო დარგის მოხელეებს კონტრაქტი დაედოთ გერმანულ ფირმა „სიმენს ჰალსკესთან" თბილისიდან ჯერ ვლადიკავკავამდე და შემდეგ კი სტავროპოლამდე ტელეგრაფის ხაზის მშენებლობაზე. და აი, 1863 წლის 12 იანვარს თბილისიდან პირველი დეპეშები გადაეცა სტავროპოლის სატელეგრაფო სადგურს. ამ ამბავს ქართველი საზოგადოება დიდი კმაყოფილებით შეხვდა.

როგორც კი საექსპლოატაციოდ გადაეცა ტელეგრაფის ხაზი თბილისი-სტავროპოლი (ვლადიკავკავზე გავლით), გრ. ორბელიანი ახალ გეგმას სახავს სტავროპოლის მოსკოვთან და პეტერბურგთან ტელეგრაფით დაკავშირების შესახებ.

საკმარისია დავხედოთ რუკას, რომ ცხადი გახდება, სტავროპოლიდან ტელეგრაფის ხაზის მშენებლობა უნდა გაგრძელებულიყო როსტოვისაკენ, რადგან ეს უმოკლესი ტრასაა სტავროპოლიდან პეტერბურგისაკენ.

მაგრამ გრ. ორბელიანი თბილისის პეტერბურგთან ტელეგრაფით შეერთების ერთი შეხედვით უჩვეულო პროექტს უდგენს გზათა მიმოსვლისა და სახალხო ნაგებობათა მთავარ სამმართველოს პეტერბურგში. ამ პროექტის თანახმად, სტავროპოლიდან ტელეგრაფის ხაზი უნდა გაგრძელებულიყო ქერჩის სრუტემდე, აქ ჩაედოთ წყალქვეშა ტელეგრაფის კაბელი და შემდეგ ხაზი ოდესამდე მიეყვანათ.

გრ. ორბელიანის ეს პროექტი ძალზე მოულოდნელი აღმოჩნდა პეტერბურგისათვის. გზათა მიმოსვლისა და სახალხო ნაგებობათა მთავარი სამმართველოს სპეციალისტები დააფიქრა ქერჩის სრუტეში კაბელის ჩადებამ. წყალქვეშა ტელეგრაფის კაბელის ზღვაში ჩადება იმ პერიოდში ტექნიკურად ძნელი იყო და ძალიან ცოტა ბედავდა ამ „საშიშ" საქმისათვის მოეკიდა ხელი. გარდა ამისა, იმასაც ფიქრობდნენ, თუ კაბელი წყალში დაზიანდა, ძალიან გაძნელდება დაზიანების ადგილის მონახვა და შეკეთებაო.

რაც შეეხება გრ. ორბელიანს, მას უკვე ადრე ჰქონდა საქმე ტელეგრაფის კაბელთან. როცა თბილისიდან კავკასიონზე ტელეგრაფის ხაზი გაჰყავდათ, მან მოიწონა ინჟინერ-პორუჩიკ პოსტელნიკოვის წინადადება კობის ხიდთან სამი მილის მანძილზე ტელეგრაფის კაბელის გამოყენების შესახებ, რადგან აქ ხშირი იყო თოვლის ზვავები და ისინი ტელეფონის საჰაერო ხაზს დააზიანებდნენ. ისე რომ, გრ. ორბელიანისთვის ტელეფონის კაბელი ახალი ამბავი არ იყო.

რა გამართლება ჰქონდა სტავროპოლის ოდესასთან შეერთების პროექტს?

პ ი რ ვ ე ლ ი: საქართველოს რუსეთთან ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენდა ფოთი, საიდანაც დიდძალი კავკასიური ნაწარმი იგზავნებოდა ოდესაში და პირიქით, რუსეთიდან საქართველო დიდი რაოდენობით ღებულობდა სხვადასხვა საქონელს. იმ შემთხვევაში, თუ სტავროპოლს უშუალო სატელეგრაფო კავშირი ექნებოდა ოდესასთან, მაშინ თბილისზე და ვლადიკავკავზე გავლით ფოთიდან დეპეშები ძალზე მოკლე გზით მიაღწევდნენ ოდესას, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა შავ ზღვაზე უდიდეს სავაჭრო ნავსადგურთან ურთიერთობისათვის.

მ ე ო რ ე: იმ პერიოდში ოდესა ბულგარეთზე გავლით უკვე იყო დაკავშირებული ტელეგრაფით არა მარტო ევროპის სახელმწიფოების დედაქალაქებთან, არამედ თურქეთთანაც და შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროებთანაც. თუ გავითვალისწინებთ იმ მდგომარეობას, რომ საქართველოზე (ძირითადად ფოთიდან) გადავიდოდა სპარსეთის ტრანზიტი ევროპაშიც, და თვით საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებთან, თბილისის ოდესასთან ტელეგრაფით დაკავშირება ძალზე მოხერხებულს გახდიდა დეპეშების გაცვლას ევროპის ქვეყნებთან.

მ ე ს ა მ ე: ოდესა თავის მხრივ სატელეგრაფო ხაზით შეერთებული იყო მოსკოვთან და პეტერბურგთან. ამიტომ სტავროპოლის ოდესასთან ტელეგრაფით დაკავშირება უკვე თავისთავად თბილისს შესაძლებლობას აძლევდა დეპეშები გაეცვალა პეტერბურგთან.

პეტერბურგში გზათა მიმოსვლის და სახალხო ნაგებობათა მთავარმა სამმართველომ გრ. ორბელიანის პროექტი ძირითადად მიიღო, მაგრამ მისი განხორციელება მიზანშეწონილად ჩათვალა უფრო მოგვიანებით, მხოლოდ აღნიშნა ქერჩის სრუტეში კაბელის ექსპლოატაციის სირთულე.

1869 წელს მსოფლიოში სახელგანთქმულმა გერმანელმა გამომგონებელმა ვ. სიმენსმა ლონდონიდან დაიწყო ტელეგრაფის ხაზის მშენებლობა ინდოეთისაკენ. ტელეგრაფის ხაზი რუსეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა.

და პირდაპირ გაოცებას იწვევს ის, რომ გერმანელმა გამომგონებელმა ტელეგრაფის ხაზი ოდესიდან სწორედ ქერჩის სრუტეზე გადმოიყვანა და აქ წყალქვეშა ტელეგრაფის კაბელი ჩადო. ეს საქმე შეუძლებელი არ აღმოჩნდა, კაბელი ერთხელაც არ დაზიანებულა.

ამრიგად, გრ. ორბელიანი პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ნამდვილი გაბედული ინჟინერული აზრი გამოთქვა სრუტეში კაბელის ჩადების თაობაზე. მისი პროექტის სისწორე პრაქტიკამ სავსებით დაამტკიცა.

ასეთია ერთი ახალი შტრიხი სახელოვანი ქართველი პოეტისა და სახელმწიფო მოღვაწის გრ. ორბელიანის ცხოვრებიდან, რომლის შესახებ გვიამბობენ საქართველოს სახელმწიფო არქივში შემონახული ფერგადასული დოკუმენტები.

ინჟ. ა. კარბელაშვილი

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

# ძახილი

სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტების მოქმედებისა და ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად საიგონში თავი დაიწვა ოცდაცამეტი წლის მონაზონმა.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

ბორკილდადებული ბორგავს საიგონი,
აშლილა ასპიტი გველების ბუდე...
ბუდავ! მონაზონის ლოცვა გაიგონე,
მის მთა-ბარს ბალღამი აშორე, ბუდავ!
ღამემ დედამიწას საფლავი მოაზომა,
და ჯუნგლებს სჯიჯგნის ყორანი, ბუდავ!
ბუდავ, შეისმინე ლოცვა მონაზონის,
ის შენი იმედით სუნთქავდა მუდამ.

ქალწული ცრემლიანი ლოცვით დაუძლურდა,
თითები დაუწვრილდა, მუხლები დაუწყლულდა,
ნუთუ მისი ხმა არ გესმის, ბუდავ...
ბუდა სდუმს...

ქალწულო, ყინვადაკრულ ვარდივით ხმები
და შენს ლოცვაში მე მომესმის სხვადასხვა ხმები.

ხ მ ა ხ ე ე ბ ი ს:
— როდესაც ვინმე თქვენთაგანი გარდაიცვლება,
ხომ ვკვდებით თქვენთვის,
ხომ ვითლებით კუბოს ფიცრებად,
ადამიანებო!
რატომღა გვთლით სახრჩობელებად?!.

ხ მ ა ც ე ც ხ ლ ი ს ა:
— მიწავ ფხვიერო,
უგუნურო და გონიერო,
ქვაში მეძინა, ახლა კაცის ცხელ გულში მძინავს,
ღმერთს გამომტაცე დედამიწის საბედნიეროდ
და ახლა ჩემით რატომღა სწვავ ამ დედამიწას?!

ხ მ ა მ ი წ ი ს ა:
— რა ღვთის რისხვაა, რა ტირილია,
ვინ გამიმეტა გულმოსაკლავად...
ნეტავ ვინა თქვა — „მიწა გრილია"...
მე ძუძუ მტკივა, რომ მთხრით საფლავად,
თუნდ გადახრწნილი ბერის საფლავად.
ცურავს ქალწული ცრემლის გუბეში,
ამ ცხელ ჭრილობას რა დამიამებს...
ბავშვებს ცოცხლადვე რომ მჩრი უბეში,
ნუთუ შენ გქვია ადამიანი?!.

...დღეები აწყვია ნაჯახებივით,
მიწაზე მდუღარე სისხლ-ცრემლი წვეთავს,
ცის ჭერზე ხანჯლად დაჯახებული
ზეაღმართულა ხანძარი სვეტად.
დღედაღამ ლოცულობს მონაზონი,
წყალობით მოხედე, ბუდავ!
ბუდავ! პირს იხოკავს მონა შენი,
დაენგრა მას გულის ბუდე.

ბუდა სდუმს...

ლოცვით რომ სიკეთეს ვეღარ მოიმკიდა,
სულს ცეცხლის საბელი მოაზომა,
ბენზინი გადაისხა,
ასანთი მოიკიდა,
კოცონად აენთო მონაზონი.

...იმ ცეცხლს დავლანდავ.
გული იალებს
და, რაც კი ხმა მაქვს, მინდა ვიყვირო:
კეთილმოსურნე ადამიანო,
ქვეყნის სიცოცხლის წმინდა გვირგვინო,
შენ ბრძოლა გმართებს,
უდიდესი სიფხიზლე გმართებს,
სიფრთხილე გმართებს,
წამითაც არ მოლულო თვალი,
რომ დედამიწამ არ გადიხხას სხეულზე ნავთი,
რომ დედამიწამ ჩვენს თვალწინ არ დაიწვას თავი.

ალ. ბარამიძე

# ძველი საქართველო და სიმონ ჩიქოვანის პოეზია

საყოველთაოდ ცნობილია პოეტ სიმონ ჩიქოვანის ლექსების თემატიკური სიახლე და სიუხვე, აზრის სიღრმე და ფორმის სინატიფე. საბჭოური დღევანდელობის აღტაცებული მომღერალი იმავე დროს იყო ძველი საქართველოს დაჯერებული დამფასებელი. სიმონ ჩიქოვანს ეუცხოება გარდასულ დროთა რომანტიკული მჭვრეტელობა, ან სამშობლო ქვეყნის უკუღმართი ისტორიული სვე-ბედის გამო სენტიმენტალური მოთქმა-ჩივილი. საბჭოთა პოეტისათვის ორგანულია წარსულის თემა, ოღონდ მისივე განსაზღვრებით, „წარსულიც იმას ეკუთვნის, ვინც დაიმკვიდრა სიახლის გრძნობა“ („მესამე მინაწერი“). ლექსში „ქართვლის დედა“ სიმონ ჩიქოვანი აღიარებს.

**აგრე მგონია წარსულ ნისლიდან**
**მე გამოვედი წინაპრის ცხენით,**
**და გზა განვლილი თვალებს მიხსნიდა,**
**უკეთ მენახა ცხოვრება ჩვენი.**

სიმონ ჩიქოვანს ატკბობს ძველი ქართული ენის სურნელება, პატრიოტული სიამაყის გრძნობას უღვივებს მას მშობლიური წარსული, ძველი საქართველოს დიდი კულტურა, დიადი ხელოვნება, დიადი პოეზია. სიმონ ჩიქოვანს ყრუანტელს ჰგვრიდა ქართლის ცხოვრების შემზარავი ამბების კითხვა: თავშეუკავებელი მღელვარებით მოგვითხრობს იგი, თუ როგორ გათელა მტრის ურდომ ქართული მიწა, როგორ შეეცადნენ მტრები შეებილწათ ქართველი დედის წმინდა ლეჩაქი, როგორ შეუგინეს ქედმოუხრელ გვანცა დედოფალს პატიოსნება, როგორ აწამეს სამშობლოსათვის ქეთევანი. სიმონ ჩიქოვანმა პოეტურად აღადგინა ძველი საქართველოს გმირული სახე.

ჩიქოვანის ლექსები ამკობს თმოგვს და ვარძიას, წუღრუღაშენს და გორის ციხეს, დიოსკურიას და ძველთა-ძველ მცხეთას („საქართველოს ფუძეს“). მაინც უბადლოა ბროწეულის ხის სიმბოლიკა: პიტიახშების საფლავის უზარმაზარი ლოდი გაურღვევია, ფესვი გაუდგამს, ამოზრდილა, აყვავებულა და დახუნძლულა მწიფე ნაყოფით, გაუხარებია თანამედროვე მნახველის გული ბროწეულის ნერგს. აყვავებული და დამშვენებული ბროწეული მკვდრეთით აღმდგარი, ფრთაასხმული საქართველოა.

სიმონ ჩიქოვანს უყვარს, უყვარს გზნებითა და ვნებით ძველი საქართველო, ძველი თბილისი. მაგრამ იგი წარსულში არ იკეტება. „მე არ მინდა, რომ წარსულში ვიყვეო“, აცხადებს ყველას გასაგონად. მან დაძლია წარსულის ბოლმით წამოშლილი ვარამი და კაეშანი („კაეშანი და ვარამი ვძლიე“). იგი ანთებული გულით უგალობს ახალ საბჭოთა საქართველოს, ახალი ცხოვრების მშენებელ ჩვენს გმირ ხალხს. „ვადღეგრძელოთ დღევანდელი საქართველო“, გულმხურვალედ მოუწოდებს პოეტი მკითხველს („კოლმეურნის აივანზე“).

სიმონ ჩიქოვანი იყო ძველი ქართული ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე. პირველხარისხოვანი ნარკვევები მიუძღვნა მან ძველი ქართული მწერლობის საკვანძო საკითხებს. პოეტი ჩიქოვანის მძაფრ ინტერესს მუდამ იწვევდა შოთა რუსთაველი, თეიმურაზი, ვახტანგი, საბა, საიათნოვა, გურამიშვილი... რუსთველის უკვდავ პოეზიაზე იზრდებოდა და იწვრთნებოდა ქართველი პოეტების ყველა თაობა. რუსთველის შთამაგონებელი ზემოქმედება განუცდია ჩიქოვანის შემოქმედებასაც. პოეტი დაუფარავად გვიმხელს, რომ მან შეიცნო და დედის რძესავით შეირგო „რუსთაველის სტრიქონის სითბო“. ჩიქოვანის ლირიკულ ლექსებსა და პოემებში მომხიბლავად თინათინობენ რუსთველის უჭკნობი სახეები, შესამჩნევია შორეული პოეტური ასოციაციები და რემინისცენციები, ჩვენ პოეტს განსაკუთრებით იტაცებდა მულღაზანზარის ველებში მომღერალი, ცხოვრების მოყვარული, ბრძენი ავთანდილი; მესხეთის კლდოვან შემოგარენში ობლად შთენილ წუნდის ტბას ჩიქოვანი ადარებს ნესტანის უსტარს (მოულოდნელი, თამამი და ლამაზი შედარებაა!). „ო, სადაური სად იჩაგრება“, — რუსთველურად ეხმიანება ჩიქოვანი სტამბოლში გადაკარგულ თავის უბედურ სიდუს. რუსთველს გვაგონებს მისი ჩივილიც: „ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, გვაბრუნებ და როგორ?“ რუსთველის ზემოქმედებად გვეჩვენება ჩვენ სიმონ ჩიქოვანის ლექსებში აქა-იქ კოხტად ჩართული არქაული: მღერა (თამაში). მაგალითად, პოეტის ბინაში სტუმრად შემოსულ მამისეულ ლანდს მასპინძელი სთხოვს: „ნარდი ვამღეროთ, შევექცეთ ვახშამს“.

სიმონ ჩიქოვანს აქვს საინტერესო გამოკვლევა რუსთველური ვეფხისტყავის სიმბოლიკაზე. როგორც პოეტს, მას აჯადოებდა ეს საუცხოო სახე. ვეფხისფრად წარმოუსახავს კოლხეთის მშვიდი საღამოები. უშუალოდ რუსთველითაა შთაგონებული ჩიქოვანის ლექსების ციკლი — „მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“, „წუნდის ტბა“, „მიძღვნა ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის ოსტატისადმი“.

პრინციპულ ინტერესს იწვევს სიმონ ჩიქოვანის „თეიმურაზ პირველი“. თეიმურაზი ჩვენი ისტორიისა და ლიტერატურის დიდი პრობლემაა, რამდენადმე დღესაც თავსამტვრევი და გადაუწყვეტელი: თეიმურაზი მეფე და თეიმურაზი მგოსანი, თეიმურაზი მისდროინდელი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი, ქართველობისა და თავისუფლების მქებაირახტრე. მეორე მხრივ, თეიმურაზი სპარსული პოეზიის მეხოტბე, უცხოური პოეტური კულტურის გადმომნერგავი საქართველოში, ან როგორც იტყოდა პეტრე უმიკაშვილი, სპარსული პოეზიის ერთგული ქვეშევრდომი, ვარდბულბულიანობის მოლექსე და მაჯამების ამირბარი (შედარება გრიშაშვილისაა). სულმნათმა აკაკიმ დაუწუნა თეიმურაზს მეფური საქმეებიც და ლექსების კილოც. სხვაც ბევრი თქმულა საავუგო თეიმურაზზე. ორიგინალურად, თუმცა ჩემი აზრით საცილობლად სწყვეტს ამ პრობლემას სიმონ ჩიქოვანი. მისი ფიქრით, მხოლოდ პოეტობით დაიმკვიდრა თეიმურაზმა ღირსეული ადგილი ისტორიაში („მეფეს ხომ მეფედ არვინ იგონებს, მხოლოდ შაირი უმკობს სამარეს“). „საუკუნეთა მანძილზე მიდმა ლექსი მეფობს და არა მეფენიო“, ამტკიცებს პოეტი. შემთხვევითი როდია, რომ ლექსში „თეიმურაზ პირველი“ გვხვდება თეიმურაზისავე ყაიდის მაჯამური სტროფები.

ჩინებული ჰიმნი შეუთხზა მან ვახტანგ მეექვსეს („დავით გურამიშვილის გოდება ვახტანგის გარდაცვალების გამო“).

მშვენივრად გარდათქვა სიმონ ჩიქოვანმა ძველი ქართული პოეზიის პოპულარული „ხილთაქება“ და „ბულბულიანი“.

ჩვენი პოეტის შემოქმედებითი შედევრია „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. სიმონ ჩიქოვანს გურამიშვილი ხიბლავს როგორც პოეტი, მოქალაქე და მამულიშვილი. „სიმღერის“ თანახმად, გურამიშვილმა ხმლით მოიარა მთელი ევროპა, რომ ჯავრი ეყარა სამშობლოს მტრებზე. ხანდაზმული და ჯანგატეხილი იგი დაემკვიდრა უკრაინაში, მოაშენა იქ ქართული ბაღი, დადგა წისქვილი, მგრძნობიარედ გამოიტირა სამშობლო ქვეყნის ათასგვარი უბედურება, „შენი წიგნი, — ეუბნება ჩიქოვანი ზუბოვკის ხიზანს, — წალკოტია ხმების, შერითმული საქართველოს ვარამს“. საქართველოს ვარამის ხმებს ბუნებრივად შენივთებია უკრაინული და რუსული ხალხური კილო. ეს „სამფერიანი“ თავისებური ინტერნაციონალური ხმა დიდების შარავანდედით მოსავს უაღრესად ეროვნული ქართველი პოეტის სასიქადულო სახეს. გურამიშვილი პირველია, თუ პირველთაგანი, ვინც ასე ძლიერად, ასე ხმიერად და შთამბეჭდავად უგალობა ქართველი, უკრაინელი და რუსი ხალხების ჭეშმარიტ ძმობასა და მეგობრობას.

წუთისოფლით უსაშველოდ შეზარებული გურამიშვილი გულს არ იტეხდა. ოცნებობდა „გრძელი ღამე დასრულდება როდის და სამშობლოს მთაგორებზე გათენდება“.

საბჭოთა პოეტი იხმობს წარსულიდან ქართლის ბედის მოჭირნახულეს, მოუწოდებს მას წამოდგეს ზეზე, გადახედოს თავის საბუდარს, თვალი მოავლოს აღორძინებულ სამშობლო მხარეს, იხილოს „ფარშავანგად დახატული ქართლი“, ახლა მაინც დატკბეს და გაიხაროს. სიკვდილის პირას მიწევნილი გურამიშვილი უზომოდ წუხდა: „ცოცხალი არავის ვახსოვარ, მკვდარს ვინღა მომიგონებსა?“ ცდებოდა დიდი პოეტი. ჩიქოვანის სიტყვებით რომ ვთქვათ, გურამიშვილის დიდებულ სახეს „მთელი ქართლი სიყვარულით იგონებს“. და განა მხოლოდ ქართლი? საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხი უმადლის XVIII საუკუნის ქართველ პოეტს საკაცობრიო კულტურის წინაშე გაწეულ ამაგს. „შენი ცრემლის მელნით ვწერდი, მშობელ მიწის გასაგონად“, უმხელს გურამიშვილის ლანდს სიმონ ჩიქოვანი. ჩიქოვანი აამღერა გურამიშვილმა. ჩიქოვანის პოეზიას უთუოდ დატყობია გურამიშვილის შთამაგონებელი ზემოქმედება, მაგრამ საბჭოთა პოეტი სრულიადაც არ ბაძავს „დავითიანის“ ავტორს. მან კარგად იცის, რომ „გადამღერება ნამდვილ ხმას ღუპავს“. სიმონ ჩიქოვანი მხოლოდ პატრიოტულ ვალს უხდის თავის დიდ წინამორბედს. იგი საბჭოთა პოეზიის პოზიციებიდან ავითარებს ძველი ქართული პოეტური კულტურის საუკეთესო ტრადიციებს.



გურამ თიკანაძე

# პოეტური ფოტოთვალი

ფოტოგრაფიამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია საკაცობრიო კულტურას, ადამიანის გონებრივი საქმიანობის ყველა სფეროს — ისტორიკოსისათვის ფოტოსურათი უტყუარი და უზუსტესი დოკუმენტია, რომელიც ცოცხლად წარმოგვიდგენს თვალწინ გარდასული ეპოქის მოვლენებსა თუ ადამიანებს; განუზომელია მისი როლი მეცნიერების ყველა დარგში, იქნება ის ასტრონომია და კოსმოსის შესწავლა, სადაც ფოტოობიექტივმა მთვარის დედამიწიდან უხილავი ზედაპირის გადაღებაც კი შეძლო, თუ ატომური ფიზიკა, სადაც ფოტომ დიდად გააადვილა თვალისათვის უჩინარი პროცესების აღმოჩენა; დიდია მისი როლი მედიცინაში, სადაც რენტგენული დიაგნოსტიკა იქცა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ბრძოლის შესანიშნავ საშუალებად; ასევე უფოტოოდ წინ ნაბიჯს ვერ გადადგამს ტექნიკის რომელიც გნებავთ დარგი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

მაგრამ სულ სხვაა, როცა ფოტოაპარატი შემოქმედს უპყრია ხელთ. ფოტოსურათი მაშინ იქცევა პოეზიად, მხატვრულ ნაწარმოებად, რომელიც გადაგვიშლის არა მარტო თვალწარმტაც პეიზაჟებს, არამედ ადამიანის სულის სილამაზესაც; სწორედ ასეთი პოეტი იყო გურამ თიკანაძე. ფოტოსურათი რომ ხელოვნების ნაწარმოებს შეიძლება გაუტოლდეს, ეს ადრევე იყო ცნობილი. მაგრამ განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა მისი, როგორც დამოუკიდებელი მხატვრული შემოქმედების, სახვითი ხელოვნების ცალკე დარგის აღიარება; მთელ მსოფლიოში სწორედ ამ დროს გამოვიდნენ ასპარეზზე ხელოვნების ამ დარგის გამოჩენილი ოსტატები, რომელთა ნამუშევრები უაღრეს ესთეტიკურ სიხარულს ანიჭებენ მაყურებელს; ამ ოსტატებს თავისი შემოქმედებითი ინდივიდუალობა აქვთ, ორიგინალური მიდგომა სამყაროსადმი, ე. ი. ის უძვირფასესი თვისება, რომლითაც მხატვრის თვალი გამოირჩევა.

სწორედ ამ ხანებში, მხატვრული ფოტოგრაფიის უჩვეულო აღორძინების წლებში იწყებს გურამ თიკანაძე თავის შემოქმედებითს მოღვაწეობას.

ის იყო შესანიშნავი ჭაბუკი, ჭკვიანი, მაღალნიჭიერი, განათლებული, მხურვალე მოყვარული სამშობლოსი, პროფესიით ინჟინერ-გეოლოგი, გატაცებული ალპინისტი, რომელიც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ორმოცამდე მაღალ მწვერვალს მოექცა თავს; მას მოვლილი ჰქონდა ხევსურეთისა და სვანეთის ფვალშეუდგამი მთები, ნამყოფი იყო ცადაზიდულ პამირზეც. მას მოვლილი ჰქონდა მყინვარწვერისა და შტავლერის, უშბასა და შხელდას, თეთნულდისა და შხარას მწვერვალები.

ის იყო ულამაზესი ჭაბუკი, რომელიც თვითონ ჰგავდა ხელოვნების ქმნილებას, მაღალი, აშოლტილი ვაჟკაცი, ცასავით ლურჯი და სუფთა თვალებით, მომხიბლავი ღიმილით, ნათელი, შთაგონებული სახით, რომლისაგანაც მოქანდაკეს შეეძლო ახალი ავთანდილი გამოეძერწა.

მშვენიერების გრძნობაც მას ავთანდილივით გაფაქიზებული და უმაღლესად განვითარებული ჰქონდა. ერთხელ ჟურნალ „დროშის" რედაქციამ ორი კაცი გაგზავნა მივლინებით შავი ზღვის სანაპიროზე — კოტე ჯავრიშვილს ნარკვევი უნდა დაეწერა, ხოლო გურამს სურათები გადაეღო. და აი, კოტე ჯავრიშვილი მოგვითხრობს, თუ როგორ ეძებდა გურამი იმ წერტილს, საიდანაც გაიხსნებოდა საქართველოს ზღვისპირეთის საიდუმლოება, მისი განუმეორებელი სილამაზე, მისი თავისებურება; ეს არის მოთხრობა იმაზე, თუ როგორ ეძებს პოეტი ახალ სახეს: აგერ ჩაის პლანტაციები, ევკალიპტები, პალმები, ცისფერი „ვოლგები" ასფალტის გაპრიალებულ ზედაპირზე, პლაჟზე გაშლილი მოაგარაკენი, საცურაო კოსტუმში გამოწყობილი ტანადი გოგონა... მაგრამ ყოველივე ეს, ან ამისი მსგავსი შეიძლება ნახო ყირიმში, ან ხმელთაშუა ზღვაზე, ან სადმე სხვაგან. გურამს კი უნდა აღბეჭდოს მთავარი და განუმეორებელი, რაც მხოლოდ საქართველოს ზღვისპირეთისათვის იქნება დამახასიათებელი; ამიტომ შფოთავს, ეძებს, ხან ხეობებში შედის, ხან საძოვრებს ესტუმრება, ხანაც მთელ დღეს პლაჟზე ატარებს. და ბოლოს პოულობს მას, იმ იდუმალ წერტილს, საიდანაც ახალი სახით იხსნება სამყარო.

„ყოველი გამგზავრება, თუნდაც ხანმოკლე, ყოველი ახალი კუთხის გაცნობა, — წერს კოტე ჯავრიშვილი თავის მოგონებაში, — ახლის და ჯერ უნახავის აღმოჩენა იყო".

გურამ თიკანაძის სურათში მეტყველებს გარემო, ბდღვიალებს მზე, გრძნობთ ნიავის ქროლასაც, ბალახები და ყვავილები რომ გადაუხრია. გურამის ფოტოეტიუდები ხან საუკეთესო ლირიკულ ლექსებს ჰგვანან, ხან ეპიკურ ქმნილებებს, რომლებიც გიამბობენ ეპოქაზე, ხალხზე, მის გაუტეხელობაზე, მის ეროვნულ ხასიათზე. აი, მაგალითად, მისი შედევრი „აჭარელი მევენახე"— ესაა პორტრეტი, რომელიც ძლიერ დიდ შინაარსს იტევს. ჩვენ წინაშე მოხუცი გლეხკაცია, თავზე მოხვეული ყაბალახით. იმავე დროს, ეს ჭეშმარიტად ქართული ხასიათია: რამდენი რამ განუცდია მოხუცს, რამდენი რამ გადაუტანია, მთელ მის სახეს სიბრძნისა და ცხოვრების დიდი გამოცდილების დაღი



ქვემოთ: „კლდის ვეფხვი" თენსინგი და გურამის პატარა გოგონა ია.

ფოტო გ. თიკანაძისა.

დასტყობია, მაგრამ გასაოცარია აქ თვალები... ეს ჭაბუკის თვალებია, კაცის მოუღლელ სულზე რომ მეტყველებენ...

ასეთი უბადლო და შეუდარებელია გურამი არა მარტო პორტრეტის, არამედ პეიზაჟის ჟანრშიც. აი მისი „მთანი მაღალნი" და „აყვავებულა მდელო"; დახედავთ ამ სურათებს და უმალ ვაჟა-ფშაველას სამყაროში გადადიხართ; აქ ერთბაშად შემოგანათებთ თვალებში ცაში აღმართული მწვერვალები და ცისარტყელას ფერებით მოციმციმე ალპიური ყვავილები; ასევე ბრწყინვალეა გურამ თიკანაძის საჟანრო ეტიუდები, რომლებიც ყურადღებას იქცევენ რბილი და სახოვანი კომპოზიციებით და კონკრეტულ საყოფაცხოვრებო სცენების პლასტიკურ გადმოცემას წარმოადგენენ.

1963 წლის 27 აგვისტოს გურამ თიკანაძე ტრაგიკულად დაიღუპა შხარას მწვერვალიდან ჩამოსვლის დროს. გურამი მაშინ ოცდაათი წლისა იყო. მისმა სიკვდილმა მწარედ ატკინა გული ყველას, ვინც მას იცნობდა, ყველას, ვისაც უყვარს ქართული კულტურა; ამ სამწუხარო ამბავს გამოეხმაურა არა მარტო ჩვენი, არამედ საზღვარგარეთის პრესაც. დიდხანს მოდიოდა თბილისში სამძიმრები ჩეხოსლოვაკიიდან, პოლონეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, იტალიიდან, სადაც საერთაშორისო გამოფენაზე გურამის ნამუშევარმა საპატიო ჯილდო დაიმსახურა.

წარმტაცი და დიდად საინტერესო იყო შემოქმედებითი სამყარო ამ შესანიშნავი ოსტატისა, რომელიც ასე უდროოდ წავიდა ჩვენგან.

გიორგი ნატროშვილი

# ჭრელ-ჭრელი ამბები



## ფოტოსურათი საიქიოდან

88 წლის ირლანდიელმა მაიკ მინიმ თავისებური „მსოფლიო რეკორდი" დაამყარა: მან 55 დღე დაჰყო მიწის ქვეშ, კუბოში მწოლიარემ.

უდავოა, რომ მაიკ მინი შეპყრობილია დასავლეთში გავრცელებული მანიით: იქ ბევრი ცდილობს დაამყაროს რეკორდი, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი. და აი, ერთ დღეს მაიკ მინი კუბოში ჩაწვა, რომელიც ლონდონის გარეუბანში მიწაში 2,5 მეტრის სიღრმეზე ჩამარხეს. „ცოცხალი მიცვალებული" სამყაროსთან დაკავშირებული იყო სპეციალური მილით, რომლითაც მეგობრები მას საკვებსა და გაზეთებს აწვდიდნენ (აღსანიშნავია, რომ მაიკ მინის თავის ახალ სადგომში ელექტრონი ჰქონდა გაყვანილი და თავისუფლად შეეძლო ეკითხა).

აღნიშნული მილით ჟურნალისტებმა მაიკ მინის ჩააწოდეს ფოტოაპარატი ფართოკუთხოვანი ობიექტივით და გაზეთებმა დაიწყეს „საიქიოში" გადაღებული სურათების ბეჭდვა, რომელზეც წვერმოშვებული, ჭუჭყით სავსე კუბოში მწოლიარე ადამიანია აღბეჭდილი.

ერთადერთი, რაც მაიკს აწუხებს, არის ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებული ცნობა, რომ თურმე იქაც გამოჩნდა დამთხვეული ადამიანი — ვინმე ბილ უაიტი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს მოხსნას ირლანდიელის რეკორდი.

ამერიკასა და ინგლისში ვითარდება მთელი რიგი მოვლენები, რომლებიც მილიონობით ადამიანს აღელვებს; ეს ორი ახალგაზრდა, ჯანმრთელი ადამიანი კი არავისათვის საჭირო, უაზრო ბრძოლას აგრძელებს. ამ ბრძოლის მიზანი მხოლოდ თვითრეკლამა და საგაზეთო სენსაციაა.

## ჯონ კენედის სული

როგორც ამერიკული ყოველკვირეული ჟურნალი „ტაიმი" იუწყება, ერთ დღეს ვაშინგტონში მოულოდნელად გამოჩნდა ვიღაც უცნაური, მოღუშული კაცი, შავი კოსტუმით, მუქი სათვალეებით და თვალებამდე ჩამოფხატული შლიაპით. დედაქალაქის აეროპორტიდან იგი პირდაპირ გაემართა არლინგტონის სასაფლაოსაკენ, რომელიც ვაშინგტონის ერთ-ერთ ბორცვზე მდებარეობს. პრეზიდენტ ჯონ კენედის საფლავთან უცნობმა ჯიბიდან ამოიღო ბოთლი, შელოცვის მსგავსად რაღაც იბუტბუტა დიდხანს, ბოთლი პირით დაამხო საფლავზე, საცობი გაუკეთა და ჩემოდანში ჩადო. იქვე ჩააწყო საფლავიდან აღებული მიწა, დამჭკნარი ყვავილები და ფოთლები.

ამის შემდეგ უცნობი სწრაფად დაბრუნდა აეროპორტში და ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქიდან პირდაპირ ჰაიტის მთავარ ქალაქ პორტ-ო-პრენსში გაფრინდა. ამ ადამიანის უცნაური მოქმედებით დაინტერესებულმა ვაშინგტონელმა ჟურნალისტებმა გამოარკვიეს, რომ უჩვეულო სტუმარი ამერიკაში, პრეზიდენტის საფლავთან მოიყვანა არა იმან, რომ პატივი ეცა კენედის ხსოვნისათვის, არამედ სულ სხვა რამემ. პორტ-ო-პრენსში ჩასვლის შემდეგ ზემოაღნიშნულმა პიროვნებამ თავისი ნადავლი პირადად გადასცა ჰაიტის პრეზიდენტს; როგორც შემდეგ ჟურნალისტებს აცნობეს, პრეზიდენტს ყოველივე ეს დასჭირდა „მაგიური შელოცვისათვის", რომლის მეშვეობით სურდა კენედის სულის დამწყვდევა, მისი დამორჩილება საკუთარი ნებისყოფისადმი, რათა ამგვარად გავლენა მოეხდინა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებებზე ჰაიტის მიმართ.

მხოლოდ ისღა დაგვრჩენია დავუმატოთ, რომ ეს ამბავი მოხდა XX საუკუნის 60-იან წლებში, ხოლო ამ ამბის მთავარი მოქმედი პირი იყო ჰაიტის რესპუბლიკის პრეზიდენტი, განათლებით ექიმი ფრანსუა დიუვალიე!



## ყველაზე მკაცრი ცერემონიალი

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, მრავალი წლის მუყაითი კვლევა-ძიების შემდეგ გერმანელმა ისტორიკოსმა იოჰან ქრისტიან ლიუნიგმა გამოაქვეყნა ორტომიანი შრომა, რომელშიც იგი აღწერდა და ანალიზს უკეთებდა იმ უცნაურ და მრავალნაირ ცერემონიალებს, რომლებიც დამკვიდრებული იყო ევროპის ქვეყნების მეფეთა სასახლეებში.

ამ წიგნში აღნიშნულია, რომ მთელ ევროპაში, ყველაზე მკაცრი წესები შემოღებული იყო ესპანეთის სამეფო კარზე. ესპანეთის მეფე-დედოფალი ყველასაგან ხელშეუხებელნი იყვნენ, მაგრამ ეს ხელშეუხებლობა რაღაც წარმოუდგენელ პედანტიზმამდე იყო მისული.

ერთხელ, სეირნობის დროს, დედოფალს ცხენი დაუფრთხა. ქალის სიცოცხლე განსაცდელში იყო. ორმა მარჯვე ოფიცერმა მაშინვე ადგილიდან მოწყვიტა ცხენები, წამოეწივნენ და უზანგში ფეხებგაბლანდულ დედოფალს დასწვდნენ. ერთმა მათგანმა დედოფალი აიტაცა და მაგრად მიიხუტა, რათა კვლავ მიწაზე არ ჩამოვარდნილიყო. ოფიცრებმა დედოფალი სამშვიდობოზე გაიყვანეს, მერე ცხენები მოაბრუნეს და ჭენებით გაეშურნენ საფრანგეთისაკენ. მათ სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინათ ესპანეთის საზღვრები, წინააღმდეგ შემთხვევაში დედოფლის შეხებისათვის სიკვდილით დასჯა მოელოდათ.

ერთხელ, ბუხართან მჯდომ ფილიპე III-ს კინაღამ ცეცხლი წაეკიდა მხოლოდ იმიტომ, რომ სასახლის დიდებული, რომელსაც ნაწყალობები ჰქონდა მეფის სავარძლის გადაადგილების პრივილეგია, იმჟამად ახლომახლო არ აღმოჩნდა.



## მჭადი პურის ნაცვლად

მთარგმნელის შრომას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჯერ კიდევ უძველესი დროიდან. ასე, მაგალითად, კართაგენში, სადაც 60-ზე მეტი სხვადასხვა ტომის ხალხი ცხოვრობდა, მთარგმნელები დიდი პატივით სარგებლობდნენ. ისინი ერთგვარ პრივილეგიურ კასტას შეადგენდნენ. არსებობდა კანონი, რომელიც მთარგმნელებს მძიმე ფიზიკური სამუშაოდან ანთავისუფლებდა. იმისათვის, რომ მთარგმნელები სხვებისაგან გამოერჩიათ, ისინი მკლავზე სპეციალურ სვირინგებს ატარებდნენ, რომელზედაც თუთიყუში იყო გამოხატული. თუ მთარგმნელმა ერთი ენა იცოდა — თუთიყუშს ფრთები დაკეცილი ჰქონდა, ორი და მეტი ენის მცოდნე მთარგმნელის თუთიყუში ფრთებგაშლილი იყო.

ყველასათვის ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღეს მთარგმნელობით საქმიანობას. მთარგმნელის ერთ უნებლიე, უბრალო შეცდომასაც დიდი და სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია.

ომის დამთავრების შემდეგ, პარიზელები რამდენიმე თვის მანძილზე იძულებული იყვნენ პურის ნაცვლად მჭადი ეჭამათ. და ეს მეფუნთუშეების ბრალი კი არ იყო, არამედ, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, მთარგმნელებისა. აი როგორ მოხდა ეს:

სპეციალისტი, რომელსაც დაავალეს ხორბლის დიდი მარაგის შეკვეთა მიეცა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, როგორც შემდეგ გამოირკვა, არც თუ ისე კარგად იყო დაუფლებული ამერიკულ გამოთქმებს ე. წ. „ამერიკანიზმებს". ამ კაცმა იცოდა ინგლისური, მან ზუსტად იხმარა სიტყვა „corn", რაც ინგლისურად მარცვლეულს აღნიშნავს, მაგრამ ამერიკელებისათვის იგივე სიტყვა „სიმინდის" აღმნიშვნელია.

რამდენიმე ხნის შემდეგ საფრანგეთმა, რომელიც ხორბალს ელოდებოდა, ამერიკიდან გამოგზავნილი უამრავი სიმინდი მიიღო.

## ცეცხლწაკიდებული წყალი

ძველი ნოვგოროდის მახლობლად არის ტბა ილმენი. მეთევზეებმა შეამჩნიეს, რომ ტბა რამდენიმე ადგილას უეცრად იწყებს ღელვას და ზედაპირზე ამოდის პატარა შადრევნები. თუ ასეთ შადრევანში ანთებულ ასანთს ჩააგდებთ, ჩნდება უკვამლო ცეცხლის ალი.

ზამთარში მეთევზეები ყინულში ამოჭრიან ღრმულს, აანთებენ წყალს და ამ „კოცონის" ახლო თბებიან: თუ ჯოხით ტბის ძირს მოურევენ, ცეცხლი კიდევ უფრო ძლიერდება.

რით არის იგი გამოწვეული?

წყალში მყოფი ბაქტერიები ხელს უწყობენ წყალმცენარეთა, ბალახების, ტორფის წვას, რის გამო წყალში წარმოიქმნება ცხელი გაზები.

ეს გაზებია, „შეშად" რომ იყენებენ კოცონზე მეთევზეები.



## მიცვალებული დააწინაურეს

ორლეანის პროვინციის (საფრანგეთი) სასაფლაოზე, ამ ბოლო დრომდე ერთი საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა იყო: „აქ განისვენებს ბუღალტრის მეუღლე ჟულიეტა ლეგრანი". როდესაც ქვრივი ლეგრანი სამსახურში დააწინაურეს, მან მაშინვე შეცვალა წარწერა საყვარელი მეუღლის საფლავის ქვაზე. ახლა მასზე შეგიძლიათ წაიკითხოთ: „აქ განისვენებს უფროსი ბუღალტრის მეუღლე ჟულიეტა ლეგრანი".

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

## როგორ მოვამზადოთ თევზის ბუღლამა

### პაროდია

თუ თქვენ გადაწყვიტეთ სადილად მოამზადოთ თევზის ბუღლამა, ნუ გადაიფიქრებთ, წამოისხით წავის ქურქი. თუ არა გაქვთ, მოსთხოვეთ ქმარს დაუყოვნებლივ იყიდოს. ვისზე რა ნაკლები ხართ! თუ შესაძლებლობა არა აქვს, ჩხუბს ნუ დაუწყებთ, მაინც არაფერი გამოვა. თავის დროზე უნდა გეფიქრათ ვის მიჰყვებოდით ცოლად. ასეთ შემთხვევაში, ჩაიცვით რა ქურქიც გაქვთ და შეირბინეთ თევზის მაღაზიაში. იყიდეთ ორი კილო თართი ან ორაგული, დაჭერით წვრილ ნაჭრებად, ჩააწყეთ ქვაბში, მოაყარეთ ბლომად ხახვი, თხლად დაჭრილი ლიმონი ზევიდან კოხტად მოაწყვეთ. არ დაგავიწყდეთ მოასხათ ერთი ჭიქა თეთრი ღვინო და 200 გრამი გამდნარი კარაქი. ადუღეთ 20 წუთს, ნელ ცეცხლზე.

მაღალკალორიული ბუღლამა მზადაა. შეგიძლიათ მიიტანოთ სუფრაზე.

ასეთივე წესით მზადდება ქამასოკოს ბუღლამა, ლიმონისა და ღვინის გამორიცხვით.

გაფრთხილდით, სოკო შხამიანი არ აღმოჩნდეს. თუ სიცოცხლე დაზღვეული არ გაქვთ, ნუ დაიზარებთ, ვერცხლის კოვზი მონახეთ და კერძში ჩაუშვით. თუ არ გაშავდა, სოკო საჭმელად ვარგისია. თუ ვერცხლის კოვზი ხელთ არა გაქვთ, კერძი კატას გაასინჯეთ; თუ გადარჩა, კერძი საჭმელად ვარგისია. საერთოდ, ეცადეთ პური და სითხე ნაკლებად მიიღოთ, ამ გზით შეინარჩუნებთ ელასტიურობას და ტანწერწეტობას. ჩაიცვით ელეგანტურად, ისე, რომ მუხლისთავები აუცილებლად გიჩანდეთ. ნუ დაივიწყებთ, რომ მაღალყელიან ჩექმებს მოკლე კაბა უხდება (გახსოვდეთ, რომ რაც უფრო მოკლეა კაბა, მით უფრო ინტელექტუალური ხდებით). თუ ქმრებს დაუჯერებთ, არ გააბრაზებთ, არ დაუშლით ღვინის სმას და ხელს შეუწყობთ მათ დროსტარებას და სიამოვნებას, მაშინ გაძლევთ პირობას, მომავალში გასწავლოთ თუ როგორ მზადდება სარტიჭალური არტალა, ზესტაფონური ჩობან-ყაურმა და თუშური საჩხრეკა.

თენგიზ I

## პანანინა მოთხრობები

### მონადირე

— როგორ ინადირეთ?

— თხა მოვკალით.

— როგორ, განა ჩვენი სოფლის ტყეში არის ველური თხა?!

— არა, არც ისე ველური იყო. უფრო ველური მისი პატრონი გამოდგა, ძლივს გამოვასწარით, თორემ ვინ იცის რას გვიზამდა!

### უმძრახი შეყვარებულები

გეოლოგებმა შორეულ მთებში ფოსტა მიიღეს.

ვახტანგმა კონვერტი გახსნა და სუფთა ფურცელი ამოიღო.

— რა არის ეგ? — ჰკითხა გაკვირვებით ამხანაგმა.

— წერილია საცოლესაგან.

— შიგ რატომ არაფერი სწერია?

— ამას წინათ თბილისში რომ ვიყავი, წავიჩხუბეთ და ერთმანეთს აღარ ველაპარაკებით.

შოთა ამირანაშვილი

## ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდი

### მოგვითხრობენ გამოჩენილი ფეხბურთელები

**ეისებიო** (პორტუგალია): ერთი უსიამოვნოდ მოსაგონარი ამბავი არასოდეს ქრება ჩემი მეხსიერებიდან. 1961 წელს ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე გამოვდიოდით. ხელს გვაძლევდა მხოლოდ მოგება. წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში (იგი ერთი წლის შემდეგ გაიმართა ჩილეში) ინგლისელები მიიღებდნენ მონაწილეობას. დავიფიცე, რომ გოლს გავიტანდი. სამჯერ გავედი მეკარე სპრინჯეტთან პირისპირ. სამი უძლიერესი დარტყმა... ძელმა მოიგერია! მაშინ დავემხე მიწაზე და ბავშვივით ავტირდი.

**რობერტ ჩარლტონი** (ინგლისი): 1957 წელს საავიაციო კატასტროფას სასწაულით გადავურჩი. ყველა ჩემი მეგობარი „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ დაიღუპა. მწვრთნელი მატ ბასბი ძლივს გადარჩა, გონზე კი გვიან მოვიდა. „ედვარდსი გადარჩა, ედვარდსი?!“. როდესაც მას გაუფრთხილებლად უთხრეს, რომ ედვარდსი დაიღუპა, ბასბიმ ისევ დაკარგა გონება.

ჩემი ცხოვრების მატჩი ერთი იყო მსოფლიოს VIII ჩემპიონატის ფინალი ლონდონში, „უემბლის“ სტადიონზე. გფრ-ს ფეხბურთელებთან მოგება (4:2), ოქროს მედლები, სიხარულის ცრემლები, ყვავილები, ყვავილები...

**ლევ იაშინი:** რა არ გადამხდენია, საათობით შეიძლება მოყოლა, ღონის გამოლევამდე. მაგრამ გაუთავებლად ვიმეორებ ერთ ეპიზოდს. ეს მეტად საინტერესო ამბავი ბრაზილიაში გადაგვხდა. მივემგზავრებოდით რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას“ გიგანტურ სტადიონზე. კიდევ ერთი საათი და მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონებთან უნდა გვეთამაშა. გასაგები იყო ჩვენი მღელვარება — მეტად ვნერვიულობდით. ფსიქოლოგებო, სადა ხართ? დაგვეხმარეთ! და ამ დროს სრულიად მოულოდნელად „ფსიქოლოგებმაც“ გამოგვიწოდეს დახმარების ხელი. ჩვენს ავტობუსს საპატიო ესკორტი — ორი მოტომძღოლი ახლდა. და აი სტადიონისაკენ მიმავალ გზაზე თავი[illegible]თი მანქანებით ისეთ მალაყებს გადადიოდნენ, რომ ცირკშიც კი ვერ ნახავ. და ეს ხდებოდა ქუჩაში, რომელიც ხალხით იყო სავსე. არავინ დაშავებულა. სარკმელებს არ ვცილდებოდით. ყველაფერი დაგვავიწყდა — სად მივდიოდით, ვისთან მოგველოდა თამაში; ნერვიული დაძაბულობა გაქრა. მე პირადად არასდროს არ გამოვსულვარ მოედანზე ასე ლაღად და მხიარულად, როგორც მაშინ... ჩვენს გუნდებში როდისღა იქნებიან ფსიქოლოგები?

**ვალერი ვორონინი:** ჩემთვის ნამდვილი ზეიმი იყო გამოსვლა ევროპის ნაკრებში, რომელიც კოპენჰაგენში სკანდინავიის ნაკრებს ხვდებოდა. სასიამოვნო იყო ლოუსთან, ჩარლტონთან, ეისებიოსთან, აუგუსტოსა და პოპლუხართან ერთად თამაში, სასიამოვნოც იყო და სასარგებლოც. ყველაზე ძალიან დამამახსოვრდა ურთიერთობა ჩვენს მაშინდელ მწვრთნელ ჰელმუტ შიონთან. მისი მთავარი პედაგოგიური იარაღი იყო ღიმილი და ხუმრობა. არ დამავიწყდება, როგორ ბრწყინვალედ „განაიარაღა“ მან ჩვენი მცველი ჰამილტონი, რომელიც თავის ძირითად მოვალეობას ივიწყებდა და მეტისმეტად ერთობოდა იერიშებით. შიონმა მას ასე მიმართა: „ღვთის გულისათვის, მომიტევეთ, არ ვიცოდი, რომ თქვენ ცენტრალური თავდამსხმელი იყავით“. და იქვე ეშმაკურად დაუმატა: „ბოროტი ენები ამბობენ, რომ თქვენ თურმე თამაშგარე მდგომარეობაშიც კი უნახიხართ...“ ჩვენ გადავიხარხარეთ, ჰამილტონი კი სიბრაზისაგან გაფითრდა.

გ. გამრეკელი

გარეკანის პირველ გვერდზე: ირაკლი ოჩიაური, ფოტო ოთარ თურქიასი. მეოთხე გვერდზე: ლურჯი ტბა. ფოტო თარხან არჩვაძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VI-68 წ. გამომც. № 46. ქაღ. ზომა $70 \times 108^{1}/_{8}$. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 43.700. შეკვ. № 2258. უე 02246

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ლომი: — მორჩით ჩხუბს. მხეცები ხომ არა ხართ?

ნახ. ვ. კუციასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაავტორები.

ნახ. ვ. კუციასი



# — იუმორი —



უსიტყვოდ. ნახ. ვ. მიშველაძისა.

უსიტყვოდ. ნახ. რ. ჯაშისა.



ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა